წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 61 — ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი, 1918 წ. — № 61

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. — ნ. დ. ლევიცკის დირექცია.

ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს 1918 წ.

ოპ. 4 მოქმ. **„რიგოლეტო“** მუსიკა ვ ე რ დ ი ს ა.

მოქმედნი პირნი: ზელინსკისა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, დობროვოლსკისა, გედევანოვისა, ზალიპსკი, ორდა, ხუბარევი, ისეცკი, ეზროვი, კურბატოვი, დირიჟორი—სამოსუდი, დასაწყისი 8 საათზე. 10 ოქტომბერს—„დუბროვსკი“, 11 ოქტომბერს „პიკოვაია დამა“. 625 1—1

გულ-დათუთქული მშობლები: ანნა ივლიანეს ასილი და მელხისედექ (ბუხუტი) აპოლონის ძე მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი, ერთად ერთი ნუგეში შვილი

## ნინო (ნინოჩკა)

გირდაიცვალა ამა ოქტომბრის 8-ს, პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე იქნება ცალკე გამოცხადებული. ლერმონტოვის ქუჩა № 19.

მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.
ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან გაუნრჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—35 — გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

## განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა, ლიტერატ. და საქართ. ისტ.) 2. ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა.

ცნობად: 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიათ ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიატის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტ. კანცელარიაში, დიდი მთავრის ქუჩა (Великн. ул.) № 91. 6—4

## ჟაკ-დალკროზის

### რითმიული გიმნასტიკის ინსტიტუტის

### განყოფილება

კ უ რ ს ე ბ ი: რითმიული გიმნასტიკა, როკვა, სოლფეჯიო, იმპროვიზაცია გიმნასტიკა, შვედური.

მიიღებიან ბავშვები ხუთი წლიდან. აგრეთვე მოზდილები ორივე სქესისა:
სპეციალური კურსები მსახიობთათვის და მუსიკოსებისათვის.

მეცადინეობა დაიწყება 10 ნოემბერს. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ინსტიტუტის ბინაზე. გოლოვინის პროსპექტი, ყოფილი კადეტთა კორპუსი, დილის 12—2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

ხელმძღვანელი ჟ. ი. მატინიონ-ზალცმანისა.

565 (3—3)

## სახალხო განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს ტფილისის ვაჟთა და ქალთა კერძო საშუალო სასწავლებელთა ქართველ მოწაფეების და მათი მშობლების საყურადღებოდ, რომ ასეთ მოწაფეებს ნება ეძლევათ უეგზამენოდ შევიდნენ მთავრობის ქართულ სასწავლებელთა სათანადო კლასებში. 619 1—1

თუ გიყვარს ქართული **თეატრი**,
თუ გიყვარს ქართ. **უნივერსიტეტი**
შეიძინე ქართ. ლატარიის ბილეთი!
—— 25 მან. ღირს ——
ერთმა ვინმემ ხომ უნდა მოიგოს?
შეიძლება შენ მოიგო!
პირველი მოგება
ასი ათასი მანეთია!!
სულ იგებს **2393** ბილეთი.
მოგებაში დარიგდება
**ნახევარი მილიონი მან.**
მაშ ნუ დახედო, ძმაო, ეგრე განდაგანა:
ასი-ათასს მანეთს ეხუმრები განა?
ბაშხადუნუმ! ბიჭოს! ერთიც ვნახოთ რომა,
არ დაგჭირდეს ჯაფა, არ დაგჭირდეს შრომა
და იხილო, უცბად სამოთხისა კარი.
დაჯექი და მერე ქუდი ჰკრსა ჰკარი!
**ბილეთები იყიდება ყველგან,
საცა გამოკრულია!**
412 60—19

## ოფიციალური განყოფილება

### ხარჯთ-აღრიცხვა *).

წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლისა 1918 წ.

| | ჯამაგირების რაოდენობა თვეში (მან.) | (კ.) | წლიურად (მან.) | (კ.) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| სკოლის გამგეს . . . | 260 | — | 3120 | — | ამ ჯამიდან ეროვნულ საბჭოს სექციისაგან მიღებულია 5000 მან. |
| მეურნე მასწავლებელს. | 210 | — | 2520 | — | |
| საზოგადო საგნების მასწავლებელს . . . | 210 | — | 2520 | — | |
| საზოგადო საგნების მასწავლებელს . . . . | 210 | — | 2520 | — | |
| საზოგადო საგნების მასწავლებელს . . . . | 210 | — | 2520 | — | |
| საზოგადო საგნების მასწავლებელს . . . . | 210 | — | 2520 | — | |
| ხელოსან მასწავლებელს | 150 | — | 1800 | — | |
| სკოლის დარაჯს. . . | 100 | — | 1200 | — | |
| ორ მეურმეს . . . . | 200 | — | 2400 | — | |
| ფერმის დარაჯს . . . | 100 | — | 1200 | — | |
| ორ მწყემსს. . . . . | 200 | — | 2400 | — | |
| ფერმის შემოსალობავათ. . . . . . . | — | — | 600 | — | |
| სასკოლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების შესაძენად. . . . . | — | — | 1000 | — | |
| სახელოსნო იარაღებისა და ნედლი მასალის შესაძენად. . . | — | — | 1600 | — | |
| სამეურნეო იარაღებისა და სხვა და სხვა საჭიროებისათვის . | — | — | 7080 | — | |
| ნავთი . . . . . . | — | — | 400 | — | |
| | — | — | 35400 | — | |

1918 წ. სექტემბრის 24-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

*) კანონი იხ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ამ წლის 4 ოქტომბრის № 54.

### კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა.

მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდგან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ სამი ათასი (3000) მანეთი.

1918 წ. ოქტომბრის 4.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კ ა ნ ო ნ ი

დროებითი დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემისა საკანცელარიო ხარჯისათვის იმავე მოსამართლეთა საჭიროებისათვის.

1. მიეცეს დამატებითი ჯამაგირი ტფილისში ორ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეებს ექვსი თვისა მარტის 1-დან ენკენისთვის 1-ე ათას ორასი (1200) მან. ხოლო მათ მდივნებს და თარჯიმანებს ათას ას ორმოცდაათი (1150) მან.

2. მიეცეს საკანცელარიო ხარჯისათვის აღნიშნულ მომრიგებელ მოსამართლეებს იმავე ექვსი თვისა, ტფილისში 250 მ. თითეულს გარდა იმ ფულისა, რომელიც ეძლეოდათ მათ ამ საგნისათვის თანახმად 1917 წ. დეკემბრის 31-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების დამატებისა.

3. ამა წლის ენკენისთვის 1-დან აღნიშნულ მოსამართლეებს, მათ მდივნებს და თარჯიმანებს მიეცეთ ჯამაგირად და სხვა ხარჯებისათვის თანახმად ენკენისთვის 24-ის კანონისა სამოსამართლო ინსტიტუტისათვის.

4. ტფილისის ორ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამარლისა, მათ მდივანთა და თარჯიმანთა დროებითი დამატებითი ჯამაგირისა და აგრეთვე საკანცელარიო ხარჯის დასაფარავად დამატებით გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ამა 1918 წ. მარტის 1-დან ვიდრე აგვისტოს 31-მდე კრედიტი თექვსმეტი ათას ექვსასი მან (16.600).

5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

1918 წ. ოქტომბრის 4.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### განკარგულება

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარისა.

1918 წ. ოქტომბრის 2-ს.

1. გადაყენებულია თანამდებობისაგან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან ეროვნულ საბჭოს კანცელარიის ხაზინადარი აკაკი დევდორიანი—ამა წლის ენკენისთვის 22-დან.

2. თანახმად თვისის თხოვნის,—განთავისუფლებულია თანამდებობისა და სამსახურიდგან ეროვნულ საბჭოს სამხედრო განყოფილების საქმეთა მმართველი კაპიტანი იოსებ აზიკური ამა ოქტომბრის 1-დან.

3. მიღებულია სამსახურში და დაინიშნა ეროვნულ საბჭოს კანცელარიის უმცროს საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმწარმოებლად ვლადიმერ ცაგურია, ამა-ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა.

21 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 102

მივდივარ რა დღეს ქუთაისის გუბერნიაში ჯარების ნაწილების და აგრეთვე სამხედრო უწყების სამმართველოებისა და დაწესებულებების დასათვალიერებლად, სამხედრო მინისტრის მოვალეობათა დროებით აღსრულებას ვაკისრებ ჩემს თანაშემწეს გენერალ-მაიორს გედევანიშვილს.

მგზავრობაში თან მეახლონ: სასახლის კომენდანტი პოლკოვნიკი ქარციველი, 2-რე საარტილერიო ბრიგადის 6-ე ბატარიის უფროსი პოდპოლკოვნიკი ქარუმიძე, გენერალურის შტაბის საინჟინერო-სატეხნიკო სექციის კაპიტანი თარხნიშვილი, გენერალურის შტაბის ნაწილის კაპიტანი თევზაძე, საადმინისტრაციო ნაწილის შტაბ-ოფიცერი მინდობილობათათვის პორუჩიკი ინდუაშვილი, საერთო ნაწილის კაპიტანი გიორგაძე და ჩემი პირადი ადიუტანტი პორუჩიკი აბხაზი.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 107.

იმ ბრძანების ნაცვლად, რომელიც გაცემული იყო სამხედრო უწყების მიმართ 8 აგვისტოს ამა წლისას № 20 § 2, ვაცხადებ, რომ ქუთაისის სამაზრო სამხედრო უფროსად დანიშნული ანჯაფარიძე არის პოდპოლკოვნიკი და არა პოლკოვნიკი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 9 ოქტომბერი.

საერთაშორისო მდგომარეობა ისევ იმ გაურკვევლობასა და ბინდ-ბუნდშია გახვეული, როგორც გუშინ. დიბადა დიდი იმედები. ზავის ჩამოსაგდებად მხოლოდ გადადგმულია ნაბიჯები. მთელი გაცნობიერებული კაცობრიობა სულგანაბული ელის ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის პასუხს.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაშიც ფორმალურად არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ ვერ დავფარავთ, რომ მისმა შინაურმა და გარეშე მტრებმა ბოლო ხანებში უფრო გაბედულად წამოჰყვეს თავი.

სანამ საფრთხე არსებობს, ჩვენ მასზე უნდა მიუთითოთ. სანამ ბოროტებას და სიყალბეს ფრთა სავსებით არ მოსტეხია, არ დამარცხებულა, მასთან ბრძოლაზე ხელს ვერ ავიღებთ.

ტყუილად ფიქრობენ, რომ დღევანდელი ისტორიული ამბები მათი შავი ბატონობის აღდგენისკენ იყოს მიმართული. ვერც ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლუციონური გენერლების ფაფხური გაამართლებს მათს სამეწყერო იმედებს.

მაგრამ ყოველ საფრთხეს ერთი ბეწო ღრუბელივითაც რომ გაჩნდეს ჩვენი თავისუფლების პოლიტიკურ ცაზე, ანგარიში უნდა გაუწიოთ და ერთი კაცივით უნდა დავდგეთ ფეხზე მის გასაფანტავად. მხოლოდ ბრძოლით, შეკავშირებით და ფრთხილი პოლიტიკის წარმოებით შეგვიძლიან შევინარჩუნოთ სამშობლოს ხელშეუხლებლობა და დემოკრატიული თავისუფლება.

შინ ჩვენი „კითილის მდომნი“ ყურებ დაცქვეტალი დამარაგებული ელიან ბედნიერ შემთხვევას, ბედნიერ წუთებს ჩვენი რესპუბლიკის განსაცდელისას.

აბა, დაუკვირდით თუნდ არსებითად კონტრ-რევოლუციონურ ლიბერალების-კადეტების სიტყვასა და საქმეს. მათმა წარმომადგენელმა სომხის გარუსებულმა ნაციონალისტმა ბ. ამირაღოვმა გუშინწინ ქალაქის საბჭოში პირდაპირ განაცხადა—კადეტები შემთხვევას უყურებენ, მოხერხებულ დროს ეძიებენ და რუსეთის აღდგენას ელიან, მანამდე საქართველოს სახელმწიფოებრიობას დიდს ბრძოლასჭარ დაუწყებთო.

ეს ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაუნდობელი მტრის, შინაური მტრის, უტიფარი განცხადებაა, რომელიც გარეშე მტრის ანალოგიურ განცხადებაზე ათასჯერ უარესია. ეს კარგად უნდა იცოდეს ჩვენი ქვეყნის ფრთხილმა დარაჯმა—ჩვენმა დემოკრატიამ.

მტერი შიგნით გვყავს. ამიტომ სამშობლო და თავისუფლება ისევ განსაცდელშია!

გუშინ წინ იმავე კონტრ-რევოლუციონერი კადეტების „რეჩი“ მოითხოვდა— საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა და არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებმაო.

ასე ესმით იმ ჭკუა-მოკლე და გულ-ჰრულა ლიბერალებს ჩვენი სახელმწიფოებრივობის ინტერესები და სუვერენულ უფლების ძალა და მნიშვნელობა.

საბრალოებს იმედი აქვთ, რომ ამ უმგვანო არასახელმწიფური წესით თუ მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევა, ბევრი საქართველოს რესპუბლიკის მტერი გავა წევრად და ისე აწარმოებენ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას და მტრობას, როგორც ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში. წყალ წაღებული ხავს ეჭიდებოდაო სწორედ მათზე ითქმის.

მაგრამ სცდებიან ჩვენი გულ-ჰრულა კონტრ-რევოლუციონური ლიბერალები. ჩვენს სახელმწიფოებრიობას იმდენი ძალა კი აქვს, რომ მათი პოლიტიკური ეშმაკობის ხუხულა დაშალოს და შინაურ მტრებს შესაფერი პასუხი გასცეს.

დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, რესპუბლიკის მოქალაქე და არა ყოველი გამვლელ-გამომვლელი და პოლიტიკური ვიგინდარა.

ეს ფაქტიც იმას ღაღადებს, თუ რამდენად გათამამებულია შინაური მტერი და დიდპყრობელური კონტრ-რევოლუცია.

დროა ასეთ აგიტაციას ბოლო მოეღოს. ვისაც ჩვენი რესპუბლიკისა არაფერი მოსწონს, წავიდეს, თავის ბუნაგი მოძებნოს და ჩვენ სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში ხელს ნუ გვიშლის.

ვინც ჩვენი მოქალაქე არ არის, ვისაც არც სურს ჩვენი მოქალაქეობა, ვთხოვთ ჩვენს შინაურ სახელმწიფოებრივ საქმეებში ავაზაკურად ხელს ნუ აფათურებს.

ეს მოთხოვნილებაა უფლების და სამართლიანობის. ამას ითხოვს უბრალო საერთაშორისო რიგიანობაც.

რესპუბლიკამ ზომები უნდა მიიღოს ამ უფლების და რიგიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ!

## კულტურული საქმიანობა.

კულტურული საქმიანობა ჩვენში ყოველთვის შემოფარგლული იყო. არასოდეს კულტურულ მუშაობას ამ წარსულში ძლიერათ ფრთა არ გაუშლია. კულტურის მატარებელი იყო მაშინდელი გაბატონებული კლასი. ის სწვდებოდა და ზიარებდა კულტურით. ფართო მასსა, დემოკრატია შორს იყო სწავლა-განათლება-განვითარებისაგან. მის შესახებ არავინ არ ზრუნავდა და არ ფიქრობდა ხელი გაეწვდინა და სინათლის შუქით მოეფინა მიყრუებული სოფელი. პირიქით, გავრცელებული და განმტკიცებული იყო ერთი მახინჯი აზრი: რა საჭიროა გლეხისთვის წიგნი,—მისი საქმეა თოხიო. და იყო მივარდნილ სოფლებში მიყრუებული გლეხი და არ ესმოდა არაფერი. ცრუმორწმუნოების ტლაპოში გორავდა. მისი აზრის გაშლა და მსოფლმხედველობა არ სცილდებოდა მის ბოსტანს და ჰორიზონტს, რომლითაც შემორკალული იყო მისი სოფელი.

ჩვენში მასიური კულტურა პირველათ ქალაქებში შეიჭრა. ქალაქის მუშები ჩაებნენ იმ მძიმე ეკონომიურ ბრძოლაში, რომელიც მათ აიძულებდა გაეგო თავი და ბოლო ცხოვრებისა. ამ მხრივ ჩვენში სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის მუშაობამ მეტად დიდი ნაყოფი მოიტანა. ქალაქის დემოკრატია მის გარშემო შემოკრბა და მალულათ წრეებში ეწეოდა კულტურულ მუშაობას. იქ, სადაც პოლიტიკური ეკონომია უნდა ესწავლათ, სწავლობდნენ წერა-კითხვას და ებმოდენ კულტურულ ფერხულში. ამ დიადმა ისტორიულმა მოვლენამ სათანადო წვლილი შეიტანა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

ჩვენს სინამდვილეს ჰყავდა თავისი შვილები, რომელნიც წითელ ყდიანი წიგნებით გადადიოდენ ერთი კუთხედან მეორეში და ხალხში ავრცელებდენ წიგნებს. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დაინტერესებული მასა დიდ ყურადღებას აქცევდა ამ წითელ წიგნებს და აქედან იწყება შეყვარება და პატივისცემა წიგნისა და გაზეთისა.

ჩვენი სოფლელის თქმა „გაზეთში არ ჩამაგდონო“ დიდათ მნიშვნელოვანია. აქაა პატივისცემა, მოკრძალება და სიყვარული გაზეთისადმი. მაგრამ მასა ჩვენი საერთოდ მოკლებული იყო გაზეთსაც, წიგნსაც, სკოლასაც.

მართალია, ჩვენში არსებობდენ საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ ისინი უილაჯონი იყნენ. სერიოზული მიზეზების გამო მათ ვერ შესძლეს სოფელში ფართოდ შეჭრა და სკოლების ქსელით მოფენა. ვერავინ ვერ უარყოფს ამ კულტურულ დაწესებულებების მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობას. მათ თავისი წვლილი შეიტანეს და თავისი საკუთარი დაღი დაასვეს ჩვენს კულტურულ ცხოვრებას.

მაგრამ, საერთოდ, ჩვენი სოფელი მაინც ჩამორჩენილია. ეს აშკარათ დამტკიცდა უკანასკნელი მოძრაობით. დიდი დაკვირება არაა საჭირო: ანარქიამ განსაკუთრებით იქ მოიკიდა ფეხი და იქ მძვინვარებდა, სადაც კულტურული კერა ნაკლებათ ან სულ არ ღვიოდა. სამეგრელო, ლეჩხუმი, კორბულ-მოძვის, გორის რაიონი, დუშეთის მხარე,—ეს საერთოდ ჩამორჩენილი მხრეები ადვილათ წამოეგენ იმ პროვოკაციის ანკესზე, რომელიც დემოკრატიის მტრებმა აქ გადაისროლეს. აბა რით, თუ არა სრული უკულტურობით, ავხსნათ ეს მეტათ გულის შემზრავი მოვლენა: კორბოულ-მოძვის რაიონში გლეხები მიწის ნასყიდობის ქაღალდს მალავდენ. რათ? მენშევიკების ჯარი მოდის და წაგვართმევსო. აჯანყებული სოფლები სოციალ-დემოკრატიას ისეთ რამეებს აწერდენ, რასაც ფანტაზია ძნელათ თუ შეჰქმნიდა. აშკარაა, საერთო უკულტურობამ მეტათ ხელი შეუწყო და გაამაგრა ანარქია. და ეს იმ დროს, როდესაც მოწინავე კუთხენი ნამდვილ დემოკრატიულ მუშაობას ეწეოდენ.

ჩვენი სოფელი დღეს განსაკუთრებით, მეტად არის დაინტერესებული კულტურული წარმატებით. დასავლეთ საქართველოში, მოწინავე სოფლები თვითონ თავისი ხელით აგებენ კულტურულ დაწესებულებებს. ხშირია წარმოდგენების მართვა, ლექციების მოწყობა. დასავლეთში თითქმის, ყველგან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებია გახსნილი. თითქმის ყველა დაბა აწარმოებს ხელის მოწერას და აგროვებს ფულს სახალხო სახლებისათვის. გიმნაზიის და საერთოდ სკოლების დერეფნებში სწავლით მოწყურებულ ბავშვებით ივსება.

„უსწავლელი კაცი, შვილო, რათ ღირსო“, ამბობენ სოფელში და მთელ ღონეს ახმარენ, რომ შვილი სასწავლებელში შეიყვანონ. სკოლები კი რიცხვით მცირეა. სკოლებით არაა დაფარული ჩვენი სოფლები ჯერ.

მაგრამ გვწამს, რომ ახლო მომავალში სკოლა ჩვენში გაიფურჩქნება და აყვავდება. თვით მივარდნილ, ჩამორჩენილ, დათვურ სოფელშიც განათლების ლამპარი აინთება. ამ მხრივ, განათლების სამინისტრო დაუზოგველად გასწევს შრომას.

მაგრამ დღეს არ შეგვიძლიან, სიამოვნებით არ აღვნიშნოთ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შედგენილი კანონპროექტის მიზანშეწონილება. კ ა ნ ო ნ - პ რ ო ე ქ ტ ი, ე ხ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ლ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე ს ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ო ე ბ ი ს ა და წ ი გ ნ თ - ს ა ც ა ვ ე ბ ი ს გ ა ხ ს ნ ა ს. კანონ-პროექტის მიხედვით, სამკითხველოები და წიგნცსა-ცავები უნდა გაიხნას სოფლის სკოლებთან და სადაც შკოლები არ არის, სოფლის სამმართველოებთან. ამის მიხედვით, გამგეებათ იქნებიან მასწავლებლები ან კომისრები. ეს მეტათ მნიშვნელოვანი კანონ-პროექტია. მის განხორციელებას შეუძლიან მეტად სასარგებლო მალამო დასდოს ჩვენი სოფლის კულტურულ გაჭივრებას.

ეს მიზანი რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს. მაშინ სკოლასთან ერთად სამკითხველოებიც ამუშავდება და ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წინსვლის გზაზე გასწევს.

კულტურული საქმიანობა დღეს აუცილებელია და ამას უნდა ეწეოდეს ყველა, ვისაც ჩვენი ხალხის სიკეთე ჰსურს.

ვ. ნოზაძე.

## ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან ბ. ევგენი გეგეჭკორის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას დაესწრენ: 1) გენერალი ალექსეევი, 2) დენიკინი, 3) შულგინი, 4) სტეფანოვი, 5) გენ. რომანოვსკი, 6) გენერალი დრაგომიროვი, 7) ლუკოვსკი, 8) გეგეჭკორი, 9) გენ. მაზნიაშვილი, 10) ბიჩი (ყუბ. წარმომადგენელი), 11) ვორობიოვი, 12) №№.

გენ. ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი ს სიტყვა: მოხალისე ჯარის და ყუბანის მთავრობის სახელით მივესალმები ჩვენს მეგობარ საქართველოს წარმომადგენლებს ევ. პ. გეგეჭკორს და გენ. მაზნიაშვილს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მოლაპარაკება დამთავრდება ნაყოფიერად და სასურველად, რადგანაც ჩვენ შორის არ არის ისეთი რამ, რომელიც დავას გამოიწვევს. თგვდაპირველად მე საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ მოხალისეთა ჯარს არა აქვს არავითარი მისწრაფება და სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მას სცნობს სავსებით, დეე იცოდეს საქართველომ, რომ ის ამ მხრით სავსებით უზრუნველყოფილია.

მაგრამ, რადგან მოხალისეთა ჯარი იღებს ასეთს მოვალეობას თავის თავზე, ის უნდა ელოდეს საქართველოსაგან ასეთივე დამოკიდებულებას. ამავე დროს მე აშკარად უნდა ვსთქვა, რომ საქართველოში რუსებს მტრულად შეხვდენ, რასაც ჩვენ სულ არ მოველოდით, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ რუსებს სდევნის არა მასსა, ხალხი, არამედ თვით მმართველი წრეები. შემდეგ მოლაპარაკების დროს ჩვენ არ შეგვიძლიან იმ ფაქტს ანგარიში არ გაუწიოთ, როდესაც ჩვენ ვიცით, თუ რამდენ უსიამოვნებას განიცდის რუსი მცხოვრები კავკასიაში. წინეთ ხომ ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთთან ცხოვრება და ჩვენს პოლკებში ქართველებიც მსახურებდენ. ასეთ თქვენს დებულებას ჩვენ ვერ შეურიგდებით.

თქვენი ორიენტაციის მიმართულება, შინაური თქვენი პოლიტიკის საქმეები ჩვენ არ გვეხება, ეს თქვენი შინაური საქმეა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დაუშვათ გერმანელების ბატონობა რუსეთის მიწა-წყალზე მოხალისეთა ჯარის და ყუბანის წინააღმდეგ. რატომ გერმანელები ამაგრებენ ადლერს? ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფაა? საქართველოს ტერიტორიაზე დეე ქართველებმა რაც უნდათ ის აკეთებინონ, მას გარეშე კი არ უნდა იყოს არც ერთი გერმანელი. ამ საკითხთან ერთად იბადება მეორე საკითხი: რომელ საზღვრამდის შეიძლება მათი მოქმედება გავრცელდეს? ეს მეტის მეტად მწვავე და სერიოზული საკითხია, რომლის გადაჭრასთან დაკავშირებულია ყველაფერი ის, რის გადასაწყვეტად ჩვენ აქ შევიკრიბენით. და აი მე მივიღე დეპეშა ერთი თქვენი გენერალისაგან, რომელმაც თავისი მთავრობა დააყენა ტუაპსეში და უკვირს რათ იქნა ეს მთავრობა გადაყენებული. ახლა კი სოჭაში და ადლერშიაც ქართველების მთავრობაა. შეიძლება თუ არა ოლქებზე ვილაპარაკოთ ისე, როგორც ქართულ ოლქებზე მაშინ, როცა საქართველოს და ჩვენ შორის მთელი ერთი ოლქია—აფხაზეთი. ეს ოლქები წმინდა რუსული ოლქებია და შედიან რუსეთის ტერიტორიაში. რა არის მდინარე კუდესკა, რატომ არის უუფლებო ხელით წართმეული 25 ვერსის მანძილი ამ მდინარიდან, არა, ბატონებო, ასე არ შეიძლება! ის საზღვარი, რომელიც დამყარებულია 1905 წელში უნდა იქნას დაცული, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩვენ შევთანხმდეთ თქვენთან.

ახლა საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე. იცოდეთ, რომ გერმანელებს ყველაფერი გააქვთ როგორც დონიდან, უკრაინიდან, ისე საქართველოდან. ამიტომ თუ ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ და თუ მოგეცით თქვენ რაიმე საქონელი, ჩვენ უნდა გვქონდეს გარანტია იმისა, რომ გერმანელებს არ ვკვებავთ. რომ ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით საქართველოს, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ თქვენს მოსვლამდე, მე გავუხსენი გენერალ თაყაიშვილს 250.000 მანეთის კრედიტი პურის სასყიდლად და საქართველოში გასაგზავნად. სჩანს, ჩვენ წინეთაც გვქონდა ტენდენცია საქართველოსათვის დახმარების გაწევისა. და თუ ჩვენ ასე მივდივართ თქვენს შესაგებებლათ, თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ. რას წარმოადგენდა კავკასია რუსეთისათვის? რუსებმა დახარჯეს კავკასიაში აუარებელი თანხა, იმავე დროს კი კავკასიაში ბევრი რუსეთის ქონება დაგროვდა, ყველაფერი ეს რუსის კაპეიკია. განა რკინის გზები, რომელიც გაყვანილია, განა თითეული ვერსი ჩვენი არ არის? და თუ ყველაფერი ის, რაც რუსეთის ცენტრიდან შემთხვევით დარჩა მოგროვილი იქ, ყველაფერი უნდა გადავიდეს ქართველების, სომხების და თათრების ხელში, მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი ეს მიტანილია ცენტრიდან და გროვდებოდა დიდი რუსეთის გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ხელით. მაგრამ აი შეხედეთ იმ სურათს, რომელსაც წარმოადგენს ის ადგილები, სადაც საქართველოს ჯარმა გაიარა. რეკვიზიციას უშვრებიან ავტომობილებს,საწყობებს, ფურგონებს და სურსათს. სამხრეთი ნაწილი ახალსენაკიდან სოხუმამდე გამოცხადებულია საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებად რა საფუძვლით შეგიძლიათ თქვენ ისარგებლოთ ზემო ჩამოთვლილი ქონებით და თქვენი განკარგულების ქვეშ იქონიოთ? მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყველა ეს მილიონები გამოწვილია რუსეთის ცენტრიდან. შემდეგ ფულათ წაღებულია სოჭაში 800.000 მ. ღ სოხუმში 230.000 მან. რასაკვირველია გზის მმართველობამ განაცხადა პროტესტი ამის შესახებ, მაგრამ ეს სად მიგვიყვანს?

გენერალ მასლოვსკის გადაეცა ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ ის სავსებით გაფუჭებულია და ასეთი მოქცევა ბ. ქართველ აფიცრებისა სრულიად არ არის ლოიალური დამოკიდებულების მაჩვენებელი.

აღვნიშნე რა ეს ყველაფერი, მე კიდევ ვიტყვი ერთხელ, რომ მე ვარ მოხალისეთა ჯარის უფროსი, რაც შეეხება ყუბანის მთავრობას, ის თავის შესახებ თვითონ იტყვის. სასურსათო საკითხის შესახებ ჩვენ თქვენ დაგეხმარებით და ამ საქმის მოსაწესრიგებლად მთავარი საკითხის გადაჭრის შემდეგ უნდა დავაარსოთ განსაკუთრებული ორგანო, რომელიც საქონლის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს. მაგრამ იცოდეთ, რომ მხოლოდ მაშინ გაუშვებთ, თუ გინდ ერთ ფუთ პურს, როცა გამოიცვლება რუს აფიცრებთან დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა, ვინაიდან ყველაფერი ის, რასაც იქ ადგილი აქვს, და თვით იძულებითი გადასახლება რუსებისა ჩვენთვის დიდათ შეურაცხმყოფელი გარემოებაა. რაც შეეხება სასურსათო ორგანოს, მან უნდა აწარმოვოს სასტიკი აღწერა იმ საგნებისა, რაც საჭიროა საქართველოსათვის, რომ არაფერი არ ჩაუვარდეს ხელში გერმანელებს, რომლებმაც გამოსწოვეს ყველაფერი დონში, უკრაინაში და ახლა მზათ არიან სხვას მიჰყონ ხელი.

ახლა მე გთხოვთ დასვათ შემდეგი ცალკე კითხვები და ვსთხოვ ყუბანის მთავრობის წარმომადგენელს გამოსთქვას თავისი აზრი:

1) საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ თუ რა აზრის არის.

2) საქართველოს და ყუბანის საზღვრები.

3) საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

4) რუსებისადმი მოპყრობა ქართველებისა საქართველოში.

5) რეკვიზიცია წმინდა რუსული ქონებისა.

დანარჩენი კითხვები გამოჩნდება მსჯელობის პროცესში. ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს წესრიგი სრულია და ვსთხოვ გამოსთქვას თავიანთი აზრი ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებს.

ბიჩის სიტყვა. (ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენში არ იწვევს არავითარი ეჭვებს და ჩვენ ვსცნობთ მას სავსებით, ვინაიდან ყოველთვის მთელი ისტორიის განმავლობაში ყუბანს საქართველოსთან ჰქონდა მეგობრული განწყობილება და ვფიქრობ, რომ ეს მეგობრობა შემდეგშიაც გაგრძელდება. რაც შეეხება საზღვრებს, სადაო არც აქ არის არაფერი. მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. იყო ყუბანის ნაწილი და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ სხვანაირად შევხედოთ ამას დღეს. მე მგონია, რომ მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. გადაკეთების ძალით უნდა შევიდეს ყუბანის შემადგენლობაში.

გენ. ალექსეევი. პირველი საკითხის შესახებ ყველაფერი გავათავეთ. ჩვენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებმა და ყუბანის მთავრობამ უკვე გამოვსთქვით თავიანთი აზრები.

გეგეჭკორის სიტყვა. მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს არ შემიძლიან პატივცემულო გენერალო,თქვენს სიტყვას პასუხი არ გავსცე. ჩემს მოვალეობათ ვსთვლი ავღნიშნო, რომ ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის მეტის მეტად ძნელი იყო თქვენი ბრალდებების მოსმენა. მართლაც ამაზე უფრო მძიმე ბრალდებების წარმოდგენა ძნელია, ვინაიდან ჩვენ აქ ბრალს გვდებენ ყოველგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში. ბრალს გვდებენ იმაში, რომ ვითომ ჩვენ ვისარგებლეთ მდგომარეობით და ხელთ ვიგდეთ ის, რაზედაც უფლება არ გვქონდა, რომ ჩვენ ძალადობას ვხმარობთ რუს მცხოვრებლებზე, განსაკუთრებით კი რუს ოფიცრობასა და მოხელეებზე და საერთოდ მთელი ჩვენი პოლიტიკით ჩვენ ვქმნით ისეთ ატმოსფერას, სადაც შეუძლებელია ურთიერთშორის შეთანხმებითი თანამშრომლობა—მუშაობა.

მე ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთი ხასიათის ბრალდებანი არ გვაშინებს მაშინ, როცა მას ვხედავთ ჩვენ უპასუხისმგებლო ორგანოს ფურცლებზე, სადაც ტალახიანი ხალხი ერთ ერს მეორის წინაალმდეგ უსისინებს და ილაშქრებს იმ პოლიტიკური წყობილების წინაალმდეგ, რომელიც მას არ მოსწონს და ჩვენ დამშვიდებით უყურებთ ამას, რადგანაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა იციან სიმართლე, სინამდვილე და თავიანთ ბრალდებებს არ აშენებენ ქუჩურ ჭორებზე. გენერალ ალექსეევს იცნობს მთელი რუსეთი, ვიტყვი მეტსაც, სხვაგანაც იცნობენ. ჩვენ მივეჩვიეთ მის პატივისცემას, თუმც შეიძლება მის პოლიტიკას და შეხედულებებს არ ვიზიარებდეთ და როდესაც გენერალი ალექსეევი შესაძლებლად ცნობს გაიმეოროს ეს ბრალდებანი იმ ფორმით და ტონით, რომლითაც მან ეს აქ გააკეთა, მაშინ მე ვფიქრობ, რომ საქმე მართლაც სერიოზულ ხასიათს იღებს. მაგრამ თავისთავად რაზეა აშენებული ეს ბრალდებები? უწინარეს ყოვლისა მოვალეთ ვრაცხ თავს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს, მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი საბოლოოდ დაინგრა, როცა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა 2000 სხვა და სხვა რესპუბლიკა, როცა საბოლოოდ დაგვეკარგა იმედები, ახლო მომავალში რუსეთის მთლიანი ფრონტის აღდგენისა, მხოლოდ მაშინ, ექვსი თვის ტანჯვის შემდეგ, რომელიც შედეგი იყო საგარეო ფრონტზე დამარცხებისა, საქართველო მიტოვებული ყველასაგან თავის ძალების ამარა, იმისთვის რომ ეხსნა თავისი თავი და შეენარჩუნებინა ხალხის ფიზიკური არსებობა, იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ სანამ ჩვენ ამ ნაბიჯს გადავდგამდით, მანამ მივმართეთ ყველას დახმარებისათვის, მივმართეთ ბალშევიკებსაც, მაგრამ ჩვენი ძახილი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცენტრო-ფლოტის ღალატს, გაცემას, წინაალმდეგ ჩვენ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, რომელიც გვარწმუნებდა ვილჰელმის დეპეშით იმაში, რომ არც ერთი გემი არ წავა ბათომის დასაცავად. აი სწორედ ასეთ მომენტში, 26 მაისს 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომელიც წამოყენებულია საქართველოს მთავრობის წინაალმდეგ და გამოიხატება რუს ოფიცრების დევნაში, მე როგორც საქართველოს რესპუბლის ოფიციალურ წარმომადგენელს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ეს ბრალდებები სრულიად უსამართლოა.

სად, თუ არა საქართველოში მიდიოდენ აფიცრები, როცა მათ რუსეთში დევნა დაუწყეს? ყველა კუთხეებიდან მოდიოდენ აფიცრები და ჩვენ მათ ვღებულობდით და ჩვენ სუსტ საშუალებებს მათ უზიარებდით, ვაძლევდით ჯამაგირებს, ვკვებავდით მათ და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ დახმარებას უწევდით. და მე ამაყად შემიძლიან აქ განვაცხადო, რომ იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში გამეფებული იყო საშინელი თვითგასამართლება, მაშინ მხოლოდ ჩვენში, საქართველოში, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა რუსი აფიცრის თვითგასამართლებისა და მასზე ძალადობისა. ეს მიეწერება მასის შეგნებას და პოლიტიკურ ხელმძღვანელების მუშაობას. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაშინ რუსი აფიცრობის ზოგიერთმა ნაწილებმა მტრული განწყობილება გამოიჩინა ამ გარემოებისადმი, თითქმის მის წინაშე დანაშაულიც კი ჩაიდინეს ზოგიერთებმა. და სავსებით ბუნებრივია, რომ როცა დაუმტკიცდა აფიცერთა ერთ ჯგუფს საინტენდანტო საწყობის დაწვა, მეორეს კი დიდძალი ასაფეთქებელი მასალები აღმოაჩნდა მალულად შენახული, მოხდა ზოგიერთ მათგანის დატუსაღება და მათ მოექცენ ისე, როგორც დამნაშავეთ. ნაწილი დამნაშავეთა და საეჭვო პირთა გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან. ამ გარემოებამ შექმნა ერთი ჯგუფი უკმაყოფილო ხალხისა, რომელთა სულიერი განწყობილება საქართველოს წინაალმდეგ სავსებით გასაგებია. შემდეგ ტფილისში, როგორც მთელი მხარის ცენტრში, მოგროვდა დიდი რიცხვი მოხელეებისა, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ უსაქმოდ დარჩენ, ამასთან ერთად დაკავშირებულია შტატების შემცირება და ზოგიერთ დაწესებულებათა ლიკვიდაცია. ყველა მათ მიეცათ სალიკვიდაციო ფულები, მაგრამ აშკარაა, რომ იმ სიძვირეში, როგორიც არის ტფილისში, ეს ფულები მათ დიდხანს არ ეყოფოდათ. სავსებით გასაგებია ამ ჯგუფის დამოკიდებულებაც საქართველოს რესპუბლიკასთან, მაგრამ სრულებით უსამართლო და უსაფუძვლოა ამ ორ უკმაყოფილო ჯგუფის საქართველოსთან განწყობილებაზე ააშენოთ ბრალდებები საქართველოს და მის მმართველ წრეების წინაალმდეგ. ყველაფერი ის, რაც მე აქ ვთქვი, დამტკიცებული იქნება ობიექტიური საბუთებით. და მე ვფიქრობ, რომ არ არის არავითარი დანაშაული იმაში, რომ როცა შენდება ახალი სახელმწიფო ის, როგორც ასეთი, ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ როგორმე თავი დააღწიოს ზედმეტ ხარჯებს, რომელსაც იწვევს ზედმეტი მოხელეების ყოლა და აგრეთვე იმის წინაალმდეგ, ვინც განიზრახავს მის მთლიანობის დარღვევას. დიახ, ჩვენ, ისევე, როგორც თქვენ, ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენ ვიცით შემთხვევები თუ როგორ და რა ზომებით იცავთ თქვენ თქვენს თავს. ყველა დანარჩენ საკითხებზე ჩვენ ვილაპარაკებთ იმ პროგრამის თანახმად, რომელიც შემუშავებული გვაქვს. მე კი მინდოდა ამ წინასიტყვაობით გამექარწყლებინა ის ბოროტი სულიერი განწყობილება, რომელიც წინასწარ განზრახ შეუქმნიათ. ჯერ-ჯერობით მე ვათავებ.

(გაგრძელება იქნება)

## პრესის მიმოხილვა.

ზავის გარშემო სჯა-ბაასი გრძელდება. და ეს ბუნებრივია, რადგან ზავი დღეს მეტადსაჭირბოროტო დიადი საკითხია. ზავმა უნდა იხსნას კაცობრიობა საშინელ განადგურებისაგან და შესწყვიტოს უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ნაკადულები. ცხადია, ცხოვრება უნდა სწორ გზაზე შესდგეს და ნორმალურ პირობებში უკეთეს მომავლისაკენ გასწიოს. ზავის ჩამოგდებას სიკეთე მოაქვს ტანჯულ კაცობრიობისათვის, სისხლისგან დაცლილ ხალხისათვის. აქ გამოირკვევა ჩვენი ბედი და უბედობაც. აქ გადაიჭრება საქართველოს საკითხიც. ამიტომაა, რომ ჩვენი პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ზავის შესახებ თვით ფუჩუნსაც კი. „სახალხო საქმე" ზავის მოლოდინში სწერს:

ალსანიშნავი კი არის, რომ ზავი გვიახლოვდება.

გერმანიაში ახლად შემდგარი მთავრობის პირველი ნაბიჯი, უეჭველია, ზავისაკენ იქნება გადადგმული. თუმცა პირდაპირ გერმანიიდან არაა, მაგრამ მოსკოვიდან მოსულ ცნობებით ცნობილი სოციალ-დემოკრატი შეიდემანი სტატს-სეკრეტრად დაუნიშნავთ უპორტფელოდ. პირველი საზრუნავი ახალი მთავრობისა, როგორც უკვე ვსთქვით, ზავი და საზავო პირობების შემუშავება იქნება. სხვა სახელმწიფოები ამას უეჭველად ანგარიშს გაუწევენ და შესაძლებელია წელს მაინც მოეღოს ბოლო იმ ცეცხლის ტრიალს, რისაგანაც ასე შეწუხებულია მთელი კაცობრიობა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზავს საქართველოსათვის, ამაზე ბევრი ლაპარაკი, გვგონია, საჭირო არაა. ჩვენი ქვეყანა ფორმალურად ნეიტრალურია, მაგრამ ფაქტიურად მოქცეულია ომის რკალში.

ამიტომ ზავის ჩამოგდება ერთნაირად კალაპოტს მისცემს ჩვენს ცხოვრებას. რაც უნდა იყოს, ჩვენს გარშემო რომ დაწყობილ დაწყნარებული სახელმწიფოები გაჩნდება—უდიდესი სიკეთე იქნება ჩვენთვის. როცა მეზობლის სახლი იწვის, უეჭველია, ძალაუნებური შიში გაქვს შენს სახლ-კარსაც არ მოედოს ეს სტიქიონი. ზავის ჩამოგდების შემდეგ კი ჩვენი ცხოვრება, გარდა იმისა, რომ ეკონომიური კრიზისი შემსუბუქდება—ახალ ნიადაგს ჰპოებს. გამოირკვევა აგრეთვე საბოლოოდ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც. ამიტომ ვლაპარაკობთ და ამიტომ ვსწერთ ამდენს ზავის თაობაზე და ამიტომვე ველით მას გულის ფანცქალით".

* * *

გენერალ ალექსეევს, რომელსაც მიზნად დაუსახავს რუსეთის აღდგენა და ბალშევიკებთან ბრძოლით იწმენდს გზას, თავისი ჯარით ჩვენ საზღვრებთანა სდგას. კონტრ-რევოლიუციონერი გენერალი და რეაქციონერი მისი ჯარი, ცხადია, ვერ ინელებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას და კბილებს ილესს ჩვენზე. ეს აშკარაა. გაზეთი „ერთობა" ეხება ამ მოვლენას და სწერს:

„ალექსეევს მონარქიული მიზანი დაუსახავს და ბიუროკრატიული იმპერიალიზმის განხორციელებას ლამობს.

ჩვენ გენერალ-ალექსეევის განზრახვა დიდ საფრთხეთ არ მიგვაჩნია და ის ამას ვერასოდეს სისრულეში ვერ მოიყვანს. მხოლოდ საშიშია ჩვენთვის ჩვენი დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის—საქართველოსთვის, ვინაიდან იგი ჩვენი საზღვრების მახლობლად მოქმედებს და, როგორც სანდო ცნობებიდან ირკვევა, თვალიც ჩვენსკენ უჭირავს. მით უმეტეს, რომ მას ჯერ-ჯერობით ჩრდილოეთისაკენ, ბალშევიკების წინაალმდეგ წასვლა არ შეუძლიან. პირიქით თვით ბალშევიკებს მიაქვთ მასზე იერიშები და ალექსეევის მოხალისეთა არმიებს ემუქრებიან.

ასეთ პირობებში ალექსეევი პირს ჩვენსკენ იბრუნებს და როგორც რეაქციონერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ გამოემურება.

თუ რუსეთის „სოციალისტები" ვერ ურიგდებიან ჩვენს დამოუკიდებლობას, მით უმეტეს ვერ შეურიგდება არქი-რეაქციონერი გენერალი ალექსეევი და მისი მტარვალი არმია.

გენერალ ალექსეევის ჯარი ჩვენი რესპუბლიკის უახლოესი საფრთხეა და ჩვენ თავისუფალ ხალხს და მის დემოკრატიას მოვალეობა აწევს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ჩვენი ვალია მის ტლანქ ძალას შესაფერი რეალური ძალა დაუყენოთ და მას საშუალება არ მივცეთ თავის ადგილიდან დაიძრას. ჩვენ არავის ომს არ ვუცხადებთ და ყველა მეზობელ ერებთან და სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება გვინდა. მაგრამ, როცა გენერალი ალექსეევი ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრება, მაშინ ჩვენი ხალხი როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგება და მტარვალის განზრახვას შემუსრავს!".

# ეროვნული საბჭო

მე-36 სხდომა

პარასკევი, 6 ენკენისთვე 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

თავმჯდომარე. (ექვთიმე თაყაიშვილი) შემდეგ გახლავთ განხილვა კანონ-პროექტისა სახელმწიფო დროშის შესახებ, (ხმაურობა) მომხსენებელია კონსტანტინე მაყაშვილი.

(თავმჯდომარის ალაგს იჭერს ი. ბარათაშვილი)

თავმჯდომარე. უკაცრაოდ, აქ წესრიგი შეშლილია. შემდეგ გახლავთ განხილვა კანონ-პროექტისა საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის შესახებ. მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე.

ექ. თაყაიშვილი. უკაცრაოდ. დღიურ წესრიგში რიგის ის კანონ-პროექტი მოსდევდა. წინ რიცხვს ვერ დავხედე.

რ. არსენიძე. (ს.-დ.) ბატონებო, საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის კანონ-პროექტი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებშივე იყო შემოტანილი ეროვნულ საბჭოში; განხილულ იქნა ჩვენს კომისიაში, მაგრამ შეჩერდა საფინანსო კომისიაში მის მოუწყობლობის გამო. ამიტომ ასეთი დაგვიანებული შემოიტანა თქვენს წინაშე უნდა მიეწეროს კომისიის მოუწყობლობას და არა სამინისტროს, რომელმაც დროზე შემოიტანა იგი. არსებითად, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენში გამომძიებელი არა გვყავდა, ვინაიდან არ შეიძლება ვუწუდოთ გამომძიებლის სახელი იმათ, ვინც აქამდის იყვნენ ამ თანამდებობაზე. ესენი იყვნენ მხოლოდ მოხელეები, ჩვენში გამომძიებლობის მაგივრად მის მოვალეობას კისრულობდნენ მომრიგებელი მოსამართლე და თანაშემწე. პრაქტიკულად, თუმცა საზოგადოდ, ასეთი თანამდებობა ერთ-ერთ თანაშემწეზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ გარემოებას ეს არა სცვლის, ეს თანაშემწე არის უბრალო მოხელე, დამოკიდებელი პროკურორზე, და სხვა ადმინისტრატიულ პირებზე, და ამიტომ სავსებით იძულებულია მათ კარნახს დაუქვემდებაროს თავისი მუშაობა, მაშინ როდესაც მთელი ძარღვი და არსებითი მნიშვნელობა სასამართლოსი არის გამოძიება. გამოძიება უნდა იყოს სწორე მოქალაქოებრივ ნიადაგზე დაყენებული, გამომძიებელს ვერ უნდა დაატანოს ძალა ვერც ადმინისტრაციამ, ვერც მთავრობამ, ვერც ამა თუ იმ პირმა მაღალმა თუ დაბალმა. ეს კი შეიძლება მაშინ, როდესაც გამომძიებელი დამოუკიდებელია და მას ხელს ვერავინ წამოჰკრავს და ვერც გადააყენებს. ასეთია ძირითადი კანონი რუსეთში; მაგრამ ჩვენში არ შემოიღეს, სამაგიეროდ რუსეთში იმისთვის, რომ თავისუფლად შესძლებოდათ მომრიგებელ-გამომძიებელს გადაყვან-გადმოყვანება, ნიშნავდნენ ხოლმე გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელს და მას არ ამტკიცებდნენ გამომძიებლად, მისი გადაყვან-გადმოყვანა შეეძლოთ და ამნაირად ათამაშებდნენ ამ თანამდებობის პირს. ჩვენში კი ეს პირდაპირ იყო დაკანონებული. აქ ეს ადგილი ეჭირა, როგორც მოგეხსენებათ მომრიგებელ მოსამართლეების თანაშემწეებს. განა ამისთანა თანაშემწეს თავისუფლად შეეძლო გამოძიება ეწარმოებინა? პრაქტიკაში ამასაც შევხვდებით. მომრიგებელი მოსამართლე დღეს კანონს და სამართალს აჩენს, ხვალ გამომძიებლად მირბის სოფელში. ამ მოსაზრებით, აუცილებელი საჭირო იყო არ შეგვეჩერებინა ამ კანონ-პროექტის განხილვა; არსებითი შემუშავება ამ სა-

კითხის დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ ჩვენ დავემყარეთ იმ წესს, რომელიც არსებობდა რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, და, თუ ეს იქნება ნორმალურად გატარებული ცხოვრებაში, სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ამ მხრივ არც არის ეს კანონი. 1864 წ. იმდენად უვარგისი, რომ საჩქაროდ და სასწრაფოდ შესწორებას თხოულობდეს.

პროცესუალური კანონი რუსეთისა არ იყო ურიგო; იგი კარგად იყო შემუშავებული, მაგრამ ჩვენთვის იყო უკუღმართი კანონი დაწესებული. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ეს წესი უნდა გაუქმდეს და შემოღებულ იქმნეს გამომძიებელთა ინსტიტუტი სწორედ ისეთი, როგორც უნდა იყოს იგი რუსეთის კანონდებლობის ნორმალურ პირობების მიხედვით. მთელი კანონ-პროექტი შეიცავს ამას. თუ ნებას მომცემთ გადავალ მუხლობრივ წაკითხვაზე, ვინაიდან განსაკუთრებული რამ ამ კანონში არ არის შემოტანილი. მუხლი პირველი.

რ. არსენიძე. (კითხულობს) თანამდებობა ღომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეებისა, რომელნიც საქართველოში საგამომძიებლო უბნებს განაგებენ,—გაუქმებულია. ის პირნი, რომელთაც აქამდე ეს თანამდებობა ჰქონდათ, თუ ახალს თანამდებობაზე არ იქნენ დანიშნულნი, რჩებიან შტატს გარეშე, საერთო წესის მიხედვით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყა? ვინ არის წინაალმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

რ. არსენიძე. (კითხულობს) სისხლის საქმეთა წინასწარ გამოძიების საწარმოებლად არსდება თანამდებობა სასამართლოს გამომძიებლისა იმ საფუძველთა დაცვით, რომელიც აღნიშნულია სასამართლოს დაწესებულებათა დებულებაში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს) სასამართლოს გამომძიებელთა რიცხვი აღნიშნულია ამასთანავე დართულ ცალკე ნუსხით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. დანიშვნა საგამომძიებლო უბნების საზღვრებისა და აგრეთვე თვით სასამართლოს გამომძიებლების განაწილება ეკისრება ოლქის სასამართლოს საზოგადო კრებას, რომლის დადგენილება ეგზავნება დასამტკიცებლად იუსტიციის მინისტრს.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს) ოლქის სასამართლოებთან არსებული თანამდებობა საგანგებო საქმეთა გამომძიელისა რჩება, ტფილისში 2 გამომძიებელი, ქუთაისსა და სოხუმში თითო.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს) სასამართლოს გამომძიებელთან ინიშნება საქმის მწარმოებელი იგივე თარჯიმანი, და გზირი, ამათი რიცხვი ცალკე ნუსხაშია განსაზღვრული.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს) თარჯიმანი თავისი სამსახურის მდგომარეობით სასამართლოს მდივნის თანაშემწის სწორია.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. (კითხულობს) საგამომძიებლო ნაწილის ხარჯის დასაფარავად იუსტიციის სამინისტროს გაეხსნას კრედიტი 414.400 მანეთი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

რ. არსენიძე. საერობო და ქალაქის თვითმართველობებს უფლება ეძლევათ ადგილობრივ პირობათა მიხედვით მიუმატოს იმ თანხას, რომელიც დანიშნული აქვს სასამართლოს გამომძიებელს გზის ხარჯად და ბინის დასაქირავებლად.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაალმდეგი? მიღებულია.

### შეცდომის გასწორება.

კვირას, 6 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" მოთავსებულ ეროვნულ საბჭოს ანგარიშის თავში, შეცდომით დაბეჭდილია „მე-35 სხდომა, სამშაბათი 3 ენენისთვე" უნდა იყოს, „მე-36 სხდომა. პარასკევი 6 ენკენისთვე".

## ქალაქის საბჭო.

ქალაქის საბჭოს სხდომამ 7 ოქტომბერს დიდძალი ხალხი მიიზიდა. საღამოს 8 საათზე საბჭოს დარბაზი აივსო, არამცა თუ მარტო ხმოსნებით, არამედ მოქალაქეებითაც, რომელთაც ქანდარაზე ალაგი არ ეყოთ. ბევრს საბჭოს სხდომაზე დარბაზში შესასვლელი ბარათები არ მიეცა და ისინი ქუჩაში დარჩნენ და შუაღამემდე ელოდებოდენ საბჭოს გადაწყვეტილებას ქალ. გამგეობის გადადგომის შესახებ. საბჭოს კრებას დაესწრენ აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნნი ნ. ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი, ბ-ნი ნ. ვ. რამიშვილი და სხვა წევრნი მთავრობისა და ეროვნულ საბჭოსი, რომელნიც ქალაქის საბჭოს ხმოსნებათ ირიცხებიან. საბჭოში თავმჯდომარეობდნენ. დრო გამოშვებით თავმჯდომარის ამხანაგები გ. ს. იაქჯიანი და ლ. გ. თუმანოვი. პირველად საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის დადგენილობა მის გადადგომის შესახებ და შემდეგ მოხსენება ე. მ. მახვილაძისა, სოც.-დემ. ფრაქციის სახელით, განსაკუთრებული რაზმის შესახებ საბჭოს მიერ მიღებულ 30 ოქტომბერს რეზოლიუციის გადათვალიერების შესახებ. ამ საკითხებმა დიდი კამათი გამოიწვია, რომელიც გაგრძელდა ნაშუაღამევის $2^1/_2$ საათამდე. კამათის შემდეგ საბჭომ სოც.-დემ. წინადადებისამებრ ქალაქის გამგეობის გადადგომა მიიღო 51 ხმით (ესდეკების, კადეტების და ებრაელთა ფრაქციებისა) 26 ხმის წინააღმდეგ (ესერებისა და დაშნაკცაკანებისა, 6 ხმოსანმა ნაც.-დემ. და სხვ. თავი შეიკავეს). მის შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლიუციებს ესერებისა, დაშნაკცაკანებისა და ესდეკებისაც. საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ს.-დ. 47 ხმით 27 ხმის წინააღმდეგ.

სოც.-დემ. რეზოლიუცია.

ვიღებთ რა მხედველობაში 1) რომ კონტრ-რევოლიუციონურს გამოსვლების საფრთხე ჯერ კიდევ სრულიად არ არის აღმოფხვრილი საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის მიერ, 2) რომ სპეკულიაცია, რომელმაც უაღრეს წერტილს მიაღწია, არის ნიადაგი ამ ნაირ გამოსვლებისათვის, რის გამოც სპეკულიაციასთან ბრძოლა დღეის დიდათ სერიოზულ საკითხს შეადგენს, 3) ქალაქის თვითმართველობა ამ ჟამად მოკლებულია საშუალებას თავისთავზე მიიღოს მთელი პასუხის მგებლობა აღ საკითხის მოსაგვარებლად, ქალაქის საბჭო სახელმწიფოებრივ აუცილებლად სთვლის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებულ რაზმის არსებობას და ჰგონია, რომ ქალაქის მილიციამ მას ყოველნაირად უნდა დაეხმაროს განსაკუთრებით სპეკულიაციასთან ბრძოლაში.

ამის შემდეგ საბჭომ დაავალა ქალაქის გამგეობას დარჩეს თავის ადგილზე, სანამ ახალ გამგეობას აირჩევდნენ. ამისათვის ამ კრების გაგრძელება გადაიდო ოთხშაბათამდე, როდესაც საბჭო ამოირჩევს ქალაქის მოურავს, მის ორ ამხანაგს და ქალაქის გამგეობის 8 წევრს. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

### კავკასიის ტეხნიკურ-აღმშენებლობითი საქმე.

წისქვილებისა და ბეღლების მოწყობა-აშენება.

(ა. კაზინსკის პროექტიდან)

(დასასრული)

საქონლის მთელი გაცვლა-გამოცვლა ჩრდილო რაიონებსა და ამიერ-კავკასიას შუა (ოსმალეთით და სპარსეთით), ნავთისა და შავიქვის გაზიდვის გარდა, შეადგენდა 1909 წ. გაზიდული საქონელი 3,1 მილიონ ფუთს, 1913 წ. 22,2 მილიონ ფუთს; შემოზიდული საქონელი: 1909 წ. 11,9 მილიონ ფუთს, 1913 წ. 56,7 მილიონ ფუთს. სულ 1909 წ. 15 მილიონ ფუთს, 1913 წ. 79.6 მილიონ ფუთს.

ამ ჯამებიდან სჩანს, რომ პეტროვსკის რკინის გზის გაყვანის მეოხებით, ამიერ-კავკასიის საქონლის გაცვლა-გამოცვლას, 15 წლის განმავლობაში, ერთი ხუთად უმატნია. 79,6 მილიონი ფუთი იძლევა იმ უკიდურეს სახსარს, რომლიდანაც ბალაჯარის, საუღელტეხილოსი და ნაწილობრივ შავი ზღვის პირის რკინის გზები ისარგებლებენ.

სატარიფო ნიხრის დაკლებისა და ტვირთის გადაზიდვის გზის შემოკლების მიზეზის გამო, საუღელტეხილო რკინის გზა ზემოაღნიშნულ გადასაზიდ ტვირთიდან თავისკენ მიიზიდავს 22.281,819 ფუთს. და, თუ მხედველობაში მივიღებთ ბარგისა და ტვირთის გადაზიდვის ფუთობრივ ზრდას, საუღელტეხილო რკინის გზის მოძრაობის დაწყების დროს მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვის რაოდენობა შემდეგ ციფრებით გამოიხატება—469,200 მგზავრი, 84.000 ფუთი ბარგი და 36.000.000 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი.

საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის სიძვირისა და მისი შემოსავლის გადიდების გამო, რომ ზარალი ავიცილოთ, აუცილებლად საჭიროა ტარიფის გადიდება, თუმცა პეტროვსკისა და შავი ზღვის პირის რკინის გზებთან შედარებით მაინც მგზავრებისა და აგრეთვე ბარგისა და ტვირთის გადაზიდვა ბევრად ნაკლები ეღირება.

საუღელტეხილო რკინის გზის შემოსავალი მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვისაგან შეადგენს 5.323,340 მანეთს. მოსალოდნელია აგრეთვე სასწრაფო ვაგონებიდან 28.806.000 მანეთის შემოსავალი და კომერციულ ოპერაციებიდან 200.000 მან. სულ 5.811.340 მან.

ეს შემოსავალი საკმაო არ არის გზის საექსპლოატაციო გასავალის დასაფარავად და დახარჯულ თანხის სარგებელის გადასახდელად. ამიტომ შემოსავალის გასაძლიერებლად პროექტში ჩართულია რამდენიმე მისაშველებელი წარმოება, როგორც მაგ. ელექტრონის ზედმეტი ენერგიის ექსპლოატაცია, კურორტების, აგარაკების წისქვილების, ბეღლების, ყინულის დამზადების და სხვ. მოწყობა, იმ ანგარიშით, რომ წმინდა მოგება მოიტანოს 4.227.000 მან. მთელი შემოსავალის ჯამი-კი იქნება 10.038.340 მან. მთელი გასავალი-კი აღნუსხულია 7.027.386 მანეთით.

ამ რიგად პროექტს მიზნად აქვს შეჰქმნას შემოსავლიანი წარმოება, ტეხნიკურ პირობების კომერციულთან შეხამებით, და ეს მიზანი მიხწეულია ნაანგარიშევ მოგებით, რომლითაც უნდა დავასკვნათ, რომ პროექტში მოხსენებული წარმოება მეტად ხელსაყრელია სახელმწიფოსათვის და ამიტომ უნდა განხილულ იქნას, როგორც აუცილებლად მისაღები.

იმის გარდა, რომ საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის გაყვანა მისაღებია, იგი ამავე დროს აუცილებელი საჭიროც არის; ამ გზის გაყვანის სასწრაფო განხორციელება ყველაზე უფრო ძლიერ მტკიცდება პურის გადაზიდვის გამოკვლევით; ამიერ-კავკასია რომ ძლიერ საჭიროებს შემოტანილ პურს, ეს უკვე საერთოდ ცნობილია, საჭიროა მხოლოდ ციფრებით ახსნა, თუ რა დიდია ამიერ-კავკასიისთვის შემოტანილ პურის საჭიროება.

1903 წლიდან დაწყებული 1907 წლამდე საერთო რაოდენობამპურის ტვირთისამ 14,6867 მილიონ ფუთიდან აიწია 21,0447 მილ. ფუთამდე; შემდეგ ტვირთის რაოდენობა დიდათ კლებულობს 1908 წელს (პოლიტიკურ მიზეზთა გამო) 1909 წ. კვლავ მატულობს 15.5609 მილ. ფუთამდე და 1911 წ. აღწევს 23.6312 მილ. ფუთამდე, ხოლო 1913 წ.—21,8361 მილ. ფუთამდე.

უკანასკნელი ჯამი შემდგარია ადგილობრივ მოძრაობის ტვირთთა გადაზიდვისაგან, რაიც შეადგენს—3,567 მილ. ფუთს. ამიერ კავკასიიდან გადატანილი ტვირთთა ჯამი გამოიხატება 2,8216 ფუთში, შემოტანილ ტვირთთა ჯამი კი 15,4387 ფუთში.

მთელი ჯამის ციფრი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე პურის გადატან-გადმოტანის გამოკვლევის საერთო ინტერესს შეადგენს 15,4387 მილ. ფუთის ჯამი-კი მაჩვენებელია იმისი, თუ ამიერ-კავკასია რამდენად საჭიროებს შემოტანილ პურს.

ამ ჟამად ძნელია იმის თქმა, თუ ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა რანაირად იმოქმედებს ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ზრდა-განვითარებაზე. მაგრამ საფიქრებელი კია, რომ ამიერ-კავკასიის ვრცელ სახნავ-სათეს ადგილებს პურის მოსაყვანათ არ დასტოვებენ, რადგან მცხოვრებთ უკვე ჩვეულებათ გადაექცათ, რომ ამ ადგილებზე ვენახები გააშენონ და ბამბა მოიყვანონ, რითაც ვიწროვდება სახნავი მიწა და მაშასადამე ამიერ-კავკასიაში პურის შემოტანა აუცილებელი გახდება.

ეს არის პირველი დებულება, რომელსაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში პურის გამომგზავნელები სარგებლობენ აქ წისქვილების სიშორით და ამიტომ უმთავრესად დაფქულს ჰგზავნიდენ შორეულ ადგილებიდან, მაგალითად როსტოვიდან და სხ. საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანით კი, სურათი სრულიად შეიცვლება, რადგან პურის უმთავრეს ნაწილს შემოიტანენ ხორბლის სახით კავკავის რკინის გზით ყუბანის ოლქიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან; ამიტომ პურის გასაიაფებლად ფქვილის სახით, საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის გაყვანის პროექტით განზრახულია წისქვილის აგება —(ელევატორებით) შემოტანილ ხორბლის დასაფქველად.

პროექტის თანახმად წისქვილის აშენება (ელევატორით) განზრახულია კავკავში, რადგან უფრო ხელსაყრელია ასეთი დაწესებულება იყოს იმ რაიონში, სადაც ხორბალი იყრის თავს, მით უმეტეს, რომ კავკავის ქალაქის თვითმართველობამ უკვე დაადგინა: ამ საქმისათვის 100 დესეტინა მიწა გამოჰყოს ამ დაწესებულებისა და რკინის გზის სხვა საჭიროებათათვის.

ამის გარდა რკინის გზის ხაზზე, ადგილობრივ ხორბლის დასაფქველად განზრახულია 7 პატარა ელექტრონის წისქვილის აშენება, (ყაზბეგში, ქარჩუჩში, დუშაცხოში, ფასანაურში, ჰოპორტში, საგურამოში და მცხეთაში) არსებულ პრიმიტიულ წისქვილების სამაგიეროთ.

ეხლანდელი მდგომარეობა პურის სიძვირისა, მისი უქონლობის გამო და ამ მიზეზით გამოწვეული შესაძლებელი ძალიან ცუდი მომავალი, გვიკარნახებს, როგორ უნდა მოვიქცეთ და რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ პურის კრიზისი, რისთვისაც საჭიროა კავკავში, ყაზბეგში, ჰიქარაულში, მცხეთაში და ტფილისში სათადარიგო მაღაზიების მოწყობა მთელი წლის მოსამარაგებლათ, კავკავის ოლქისთვის, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისათვის პროპორციონალურად 8 მილიონი ფუთი.

დასასრულ დაუმატებ, რომ კარგი იქნება თვით საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებმა დროითვე იზრუნონ სათადარიგო მაღაზიების მოწყობაზე, სადაც უნდა ინახებოდეს, პური, ქერი, სიმინდი და სხვა ხორბელეულობა. ამისთანა მაღაზიების მოწყობა რამდენიმე წელიწადში შეიძლება და სარისკო არ იქნება ეგრედწოდებულ მკვდარი კაპიტალის %-ის გადასახდელათ, რადგან ერთი წლის პურის კრიზისის გამო ზედმეტად გადახდილი ფული უფრო მეტს დაიჭერს, ვიდრე ამისთანა მაღაზიების მოწყობით ასი წლის გამოწვეული ხარჯი. **ბ.**

## დეპეშები.

### ომი.

ბერლინი, ოქტ. 7 დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში და კამბრესთან დღე მშვიდობიანად ჩატარდა.

ბონეს ლაშქარი. სენ-კანტენთან ენკენისთვის 15-დან თითქმის განუწყვეტლივ სწარმოებს ძლიერი ბრძოლა, მტერი ვერ იმარჯვებს.

გერმანელ-კრონპრინცის ლაშქარი. მტერმა დაიწყო შეტევები ენთან სიუიპთან და ბეზანკურტთან, მაგრამ ჩვენ ის ყველგან მოვიგერეთ. შამპანში გუშინ ბრძოლა შეწყდა. ფრონტის სხვა ადგილებზე მზვერავ რაზმების მოქმედებაა.

გალვიცის ლაშქარი. არგონისა და მაასის შუა ამერიკელები ძლიერ შეტევებს აწარმოებენ, რომლის დროს ისინ დიდათ დაავაზარალეთ.

### უცხოეთი.

გერმანიის მთავრობის შედგენა და პრესის აზრი.

ორ ოქტომბერს ბერლინში, გერმანელ იმპერატორის თავმჯდომარეობით, შესდგა საიმპერატორო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ ყოფილი კანცლერი ჰერტლინი, ფელდმარშალი ფონ-ჰინდენბურგი, ბადენელი პრინცი მაქსი, ვიცე-კანცლერი ფონ-პაიერი, მინისტრთა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, რამდენიმე სტატს-მდივანი და იმპერატორის სამოქალაქო კაბინეთის უფროსი. პარტიებთან მოლაპარაკების შემდეგ, ბადენელი პრინცი კანცლერის თანამდებობის მიღებაზე დათანხმდა. საიმპერიო სამინისტრო შესდგება მხოლოდ მთავარ პარტიებისგან. პრინცმა მაქსმა წარმოადგინა ისეთი პროგრამა, რომელიც „ფოსიშე ცაიტუნგის" სიტყვით ზოგიერთ პუნქტებში აღემატება მთავარ პარტიათა მოთხოვნის მინიმუმს. მოლაპარაკება სრული შეთანხმებით დამთავრდა. პრესა მიესალმება ასეთ გარდაქმნას, როგორც შინაგან კრიზისის გამორკვევას და გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების განმავითარებელ საშუალებას.

საიმპერიო ბეჭდვითი ბიუროს სტატს-მდივნის მომავალი თანაშემწე, რეიხსტაგის წევრი, ლიუდვიგ გაასი მისასალმებელ წერილ უძღვნის „ბერლინერ ტაგებლატ"-ში პრინც მაქსს, რომელმაც იკისრა კანცლერის თანამდებობა და ამითი დამოკიდებულება შესწყვიტა წინანდელ მდგომარეობასთან. წერილის ავტორი იხსენიებს პრინცის მიმართ გამოთქმულ საყვედურს, რომ იგი არ შეეფერება კანცლერის თანამდებობას, თუ მთავრობა დემოკრატიული იქნებაო, სწერს:

„ჩვენ არა გვსურს,—ესე შეგვიძლიან განვუცხადოთ მტერსაც და მოყვარესაც,—წინ წავიმძღვაროთ პარტიის პროგრამა და მის განხორციელებას შეუდგეთ. ეხლა საქმე ისეთ მდგომარეობაშია, რომ პარტიული პროგრამა უნდა დავივიწყოთ; ეხლა უნდა შევქმნათ ახალი გერმანია და კაცობრიობა შევარიგოთ. ამ საქმისათვის უნდა შეერთდნენ სხვა და სხვა აზრისა და პარტიის კაცნი, რომელთაც სხვა და სხვა გვარი მსოფლიო მხედველობა აქვთ და ამიტომ სასარგებლო იქნება, რომ კანცლერად პარტიის კაცი არ დაინიშნოს". შემდეგ ავტორი გაახსენებს მკითხველებს, რომ პრინცი მაქსი, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი ამბავი იყო კაცობრიობისა და ადამიანობის არაფრად ჩაგდება, ეწინააღმდეგებოდა ამ მძულვარებას და კაცობრიობის მიზანთა მიხწევის რწმენას არ ჰკარგავდა. ერთა შეთანხმების აზრი მისთვის უბრალო ტაქტიკური ხერხი კი არ არის, არამედ ისეთი საქმეა, რომელსაც იგი სულითა და გულით თანაუგრძნობს. ახალს კანცლერს, არა თუ ეხლა, არამედ მაშინაც, როდესაც გერმანიას გამარ-

ჯვება აუცილებლად ესაჭიროებოდა, შეეძლო გულახდილად დ გარკვევით ლაპარაკი საერთო მშვიდობიანობის პოლიტიკის შესახებ, როგორც ჩვენთვის, ისე საზღვარ-გარეთისათვის. ის არა საჭიროებს, რომ უგულწრფელობა „გონიერი სიტყვებით“ დაჰფაროს. მას შეუძლიან მტკიცეთ მისდიოს კაცობრიობისა და კაცთმოყვარეობის საერთო ინტერესების ჭეშმარიტ და მშვენიერ მდგომარეობის დაცვის საქმეს. ამ აზრისათვის იმას არასოდეს არ უღალატნია. მისი სურვილი მშვიდობიანობის დამყარებისა თანაგრძნობას გამოიწვევს საზღვარგარეთ იმ ჩვენ მოწინაალმდეგე წრეებში, რომელთა შორის კიდევ დარჩენილა კეთილ გონიერება და შეგნების უნარი. მისს სიტყვებს წინადაც დიდის ყურადღებით ისმენდენ და ყველანი გამოეხმაურებოდენ ხოლმე. თუმც ეს ყველა ასეა, მაინც ჩვენ არა გვწამს, რომ მშვიდობიანობა დამყარდეს“.

შვეციის პრესა მიესალმება გერმანიის ახალ წესწყობილებას გერმანიაში.

„დაგეს-ნაიხეტერი“ ამბობს, რომ პრინცი მაქსი დიდი ხანია ცნობილია, როგორც თანამედროვე აზრთა გამზიარებელი და გარკვეული ეთიური შეხედულებისაა. სოციალ-დემოკრატენი“ ამბობს: რომელ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც არ გამოჩნდებოდა პრინცი მაქსი, ყველგან ძველი შეხედულების წინააღმდეგი იყო.

შვეცარიის პრესასაც მოსწონს დემოკრატიული სისტემა გერმანიაში:

„ბერნერ-ტაგებლატი“ სწერს: ვისაც არ უნდა, რომ გერმანია დაეცეს და ვინც იმ აზრისაა, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მართვაში ხალხის ხმა უნდა ისმოდეს, შეუძლიან მხოლოდ მიესალმოს ახალ წყობილებას გერმანიაში.

ბულგარეთის შესახებ.

ბუქარესტის მთავრობის გაზეთი წერილში „მალინოვის საქმე“ სწერს: ომით დაღლილობა არ ამართლებს მალინოვის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. სისწრაფე, რომლითაც გერმანელი დ ავსტრიელი ჯარები შევიდნენ სოფიაში, ამტკიცებს, რომ ვენისა და ბერლინის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია ეჭვობდნენ, რომ ბულგარეთში არეულობა მოხდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ბულგარელი ჯარის გენერლები სავოვი და შეკანი დროებითი ზავის წინააღმდეგი იყვნენ და განაცხადეს, რომ შეებრძოლებიან ცენტრალურ სახელმწიფოებს. ბულგარელებმა იციან ეხლა, რომ მათი სახელმწიფო სამხედრო მოქმედების ასპარეზათ გადაიქცევა. ჩვენი საქმე არ არის გავამართლოთ, ან გავამტყუნოთ მათი პოლიტიკა.

ახალი კანცლერი და პრესა.

პრესა მიესალმება ახალ კანცლერს, როგორც მთავრობის ხელმძღვანელს, ხალხის ნდობით აღჭურვილს. „ნორდეიშტე-ალჰემეინე-ცაიტუნგი“ სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ პარლამენტის წევრთა მთავრობაში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანი ფაქტია, ხალხს და პარტიებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ რაც გაკეთებულია იმაზე შეჩერება არ შეიძლება, უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ გზაა უმაღლეს მიზნ.საკენ.

ამ მდგომარეობის დროს უნდა მივმართოთ ხალხის ფიზიკურ და გონივრულ ძალებს, რათა წინააღუდგეთ მტერს, რომელიც მოისურვებს ჩვენს განადგურებას“.

დანიის გაზეთი „ალჰემინი“ სწერს: „პარლამენტის ძნელი საკითხების მოწესრიგებით, კანცლერი შეასრულებს თავის საპასუხისმგებლო დანიშნულებას.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავინახოთ მასში საუკეთესო მსოფლმხედველობის ადამიანი, ამ სიტყვის ლიბერალური მნიშვნელობით. „ნიუ-კურანტი“ სწერს: გერმანიაში პოლიტიკური კრიზისის შესახებ უკანასკნელი ცნობები ადასტურებენ იმ შთაბეჭდილებას, რომ მოკავშირეთა პრესის განმარტება გერმანიის რევოლიუციის შესახებ—აბსურდია.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დიადი საქმე ადვილათ არ გაკეთდებოდა. ხალხის გავლენა იზრდება, ახალი კანცლერის სახით არის იმის გარანტია, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოპოებულ ტერიტორიას დაიცავს ძლიერი ხელი. ბადენელი პრინცი მაქსი თანამედროვე ადამიანია და ღირსეულადაც შეასრულებს თავის თანამდებობას.

პრინცი მაქსი შესძლებს, გერმანიის პოლიტიკაში უმაღლესი ერთობის განხორციელებას.

„ალჰემეინ-დაგესბლადი“ სწერს: „გერმანიაში მომხდარი ცვლილებები ისე ნათლად ამტკიცებენ ახალ მიმდინარეობას და ახალ ტენდენციას, რომ ჩვენ თამამად ვუწოდებთ სამინისტროს 1 ახალ შემადგენლობას პირველ დემოკრატიულ მთავრობას გერმანიაში. გარდა ამისა ის არის მსოფლიოს მთავრობა. ვინც გულწრფელად ესწრაფვება ერთა ლიგის შექმნას, უნდა ჰკითხოს თავის თავს, ხომ არ გაჩნდა პოპულიარული მთავრობა, რომელსაც გულით[illegible]სურს[illegible]ომი. ცოტაა ისეთი გერმანელი, რომელსაც ისეთი პატივისცემით ეპყრობოდენ, როგორც პრინც მაქსს. ცოტაა ისეთი, რომელსაც სწამდეს ხალხის მმართველობა, თავისუფლება და დემოკრატია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეხლა გერმანიის სათავეში ისეთი მთავრობა დადგა, რომელიც გერმანელი ხალხის პირით ილაპარაკებს.

ფონ-გინცე.

გარეშე საქმეთა მინისტრის სტატს-მდივანმა ფონ-გინცემ სამსახურს თავი დაანება. მის ადგილზე დაინიშნა ახალიშენების მინისტრი ექ. სოლფი, ახალშენების მინისტრის თანამდებობის დატოვებით.

ცნობები მოსკოვიდან.

მ ო ს კ ო ვ ი. ნიკოლაევის დივიზია სამარიდან 12 ვერსის მანძილზე სწარმოებს ბრძოლა. ფრანგის ჯარები იმარჯვებენ.

კიევი სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრთა ყრილობა გრძელდება.

სურსათის საქმის მინისტრი გერბელი, რომელსაც ბრალი დაედო ქრთამის აღებაში, თეთრ გვარდიელთა რაზმში შედის.

ს ა მ ა რ ა. ციმბირის საოლქო საბჭო მთავრობის ბრძანებით გარეკილია. თავმჯდომარე და პრეზიდიუმი დატუსაღებულია მთავრობის მიერ.

უ ფ ა. ჩამოსულ სავინკოვს მთავრობა არ შეხვდა კარგად.

ფლანდრიაში ინგლისელებს და ბელგიელებს იერიშები მიაქვთ, წამოყვანილია რამდენიმე ათასი ტყვე.

არკონში ამერიკელები სწრაფი იერიშებით მოდიან, გერმანელები უკან იხევენ.

ოსმალეთის ფრონტზე ინგლისელებმა დამასკი აიღეს, მთელი სირია ინგლისელთა ხელშია. ოსმალები გვატყობინებ, რომ ისინი თანახმა არიან დასტოვონ კავკასია.

მოსკოვი. გუშინ დიდის ზეიმით გაიხსნა როდიჩევის ძეგლი.

სახელმწიფო კომისიის დადგენილებით ისპობა სამეცნიერო ხარისხი.

დადგენილია მოხდეს სამრეწველო და პროფესიონალური აღწერა 1918 წ.

დაიწყო სამხატვრო სახელოსნოების მოწყობა. სწავლება უფასოთ.

პეტროგრადი: შედგა ბულგარეთის კომუნისტური ჯგუფი.

სტუდენტები თავისუფალი არიან შრომის ბეგრიდან.

გაიხსნა უმაღლესი გეოგრაფიული ინსტიტუტი.

ვენა. ფერდინანდი ტახტიდან გადადგა, მის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ბორისი.

„იზვესტია“ იტყობინება სიზრანის დროებით მთავრობაზე, რომელის შემადგენლობაში არიან ავქსენტიევი, ვოლსკი, როგოვსკი, ჩაიკოვსკი და ღენ. ბოდირევი. 3 წევრი ს.-რ: პარტიას ეკუთვნის. 1-რუსეთის აღდგენის ლიგას, 1-სახალხო სოციალისტი.

# ბულგარეთში.

დანამდვილებით გავიგეთ სარწმუნო წყაროებიდან: მეფე ფერდინანდი გადადგა. ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი ბორისი.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

○ ფინანსთა მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა: თამბაქოს მექარხნეებს არ ჰქონდეთ უფლება აქციზის გადახდისა ჩეკებით.

○ ფინანსთა მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა ახალციხიდან და ახალქალაქიდან გორში გადმოტანილ ხაზინების გაუქმების შესახებ.

○ საავტომობილო განყოფილების მართველმა ბ. გოგეშვილმა წარუდგინა გზათა მინისტრს შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

○ სამხედრო მინისტრს გზათა სამინისტრომ სთხოვა, რომ თანახმად საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების მუშა-მოსამსახურეების ყრილობის დადგენილებისა, განკარგულება გასცეს, რათა ტფილისში ყოფილ სარკინისგზო პოლკის შენობა, რომელიც რკინის გზის მთავარ კომიტეტის თანხმობით დროებით დაჭერილ იქნა სახალხო გვარდიის მიერ და აგრეთვე რკინის გზის სასწავლებლების შენობები ყვირილასა და სამტრედიაში დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას სახალხო გვარდიელებისაგან, ვინაიდან თუ წინად, როცა სახელდახელოთ ეწყობოდა სახალხო გვარდია დასაშვები იყო და ნამდვილად ასახსნელი და სამხედრო საჭიროებისათვის სასწავლებლის შენობების დათმობა, დღეს კი ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, რადგანაც სახელმწიფო აპარატი შედარებით განმტკიცდა და წესიერებაც აღდგენილია.

○ გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის უფროსმა ფონ-კრესმა [illegible]ნაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი წერილით მიმართა; „გთხოვთ მაცნობოთ, გაქვთ თუ არა გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკისა ჩემ მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზების გაერთიანების შესახებ. თუ ვინიცობაა ესეთი გაერთიანება ამ მოკლე ხანში ვერ მოხდება, მაშინ გერმანიის დელეგაციას შემოაქვს წინადადება, რათა მოწვეულ იქნას თათბირი სახელმწიფოს და კავკასიის რკინის გზათა წარმომადგენლებისაგან, მოძრაობის და ექსპლოატაციის საკითხების განსახილველათ, რომელნიც ხშირათ კამათს იწვევს რკინის გზის გამგეობებში“.

## ერობა.

○ ტფილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი კერძო თათბირი დანიშნულია 11 ოკტომბერს, დღით პარასკევს, საღამოს ექვს საათზე. პრეზიდიუმი სთხოვს ხმოსანთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ერობის საკითხით, აუცილებლად დაესწრონ ზემოაღნიშნულ თათბირს პეტრე დიდის ქ. № 22, მესამე სართულში, აღმასრულებელ კომიტეტის ოთახში.

○ თანახმად ქუთაისიის სამაზრო საერობო კომისიის თავმჯდომარის გრ. ნუცუბიძის დეპეშისა პირველი სამაზრო საერობო ყრილობა შესდგება ქ. ქუთაისში 9 ოქტომბერს ახალ სტილით.

○ თანახმად სენაკის სამაზრო ერობის ყრილობის დადგენილებისა, დამატებითი არჩევნები სამაზრო ხმოსანთა მარტვილის რაიონში, რომელიც გადადებული იყო ანარქიის გამო, დანიშნულია 27 ოქტომბერს, კვირას ძველი სტილით.

○ თელავის მაზრაში არჩევნები დამთავრდა. სულ მონაწილეობა მიიღო 8410 სულმა. № 1. სოციალისტურ ბლოკმა მიიღო 1866 ხმა ერ. დემოკრატებმა 544 ხმა.

○ რაჭაში ამ ჟამად, როგორც გვატყობინებენ სრული სიწყნარეა ჩამოვარდნილი. ლეჩხუმის ამბების შემდეგ ტფილისიდან რაჭალეჩხუმში გაგზავნილი რაჭა-ლეჩხუმელთა რაზმი ამ დღეებში ამთავრებს იარაღის აყრას მთელ მაზრაში. მასთან ერთად ქუთაისის მაზრის რწმუნებული კ. კანდელაკი ახდენს ყოველ საზოგადოებებში საერთო კრებას და აწყობს ახალი სისტემით სასოფლო ადმინისტრაციას და მილიციას. ამ ჟამად რაჭაში შექმნილია სათანადო პირობები იმისთვის, რომ აქამდე დაგვიანებული საერობო არჩევნები მოხდეს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება რაჭის სოფლებისათვის. ჯერ ჯერობით მთელ მაზრაში მოწყობილია სასოფლო საარჩევნო კომისიები, ახლო მომავალში მოხდება მცხოვრებთა აღწერა, კანდიდატთა სიების შედგენა და დაახლოვებით ამ თვის ბოლოსთვის რაჭის მაზრას ექნება ერობა. საჭიროა სათანადო უწყებამ კუთვნილი ყურადღება მიაქციოს პირველ ერობის შემოღებას რაჭაში სათანადო თანხის თავის დროზე გადაგზავნით და ამით ხელი შეუწყოს სოფლად ნორმალურ პირობების შექმნას.

## სასურსათო საქმე.

○ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი ნიხრი სხვა და სხვა სანოვაგეზე და აგრეთვე შეშაზე, რომელიც 10 ოქტომბრიდან იქნება შემოღებული.

○ სასურსათო სამინისტროს შემწეობით აქაურ საპნის მხარშველ ქარხნებს უკვე მოუმზადებიათ 4000 ფუთამდე სარეცხი საპონი. ამ საპნიდან 2000 ფუთი გადაეცემა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას მოქალაქეთა შორის გასასყიდათ, 1000 ფუთი ქუთაისში გაიგზავნება თვითმართველობის სახელზე და 1000 გადაეცემა საქართველოს ქალაქების კავშირს წვრილ ქალაქებისთვის.

○ ქალაქის გამგეობაში მსახურთა კოოპერატივი უერთდება ტრამვაის მუშათა კოოპერატივს, რომელშიაც 1100 წევრი ირიცხება. ტრამვაის კოოპერატივი თავის თანხას 25000 მან. ქალაქის მსახურთა კოოპერატივს გადასცემს სხვა და სხვა სასურსათო საგნებისთვის საყიდლად. ამ კოოპერატივის სასურსათო დუქნის ავლაბრის განყოფილება გადაწყვეტილია ტრამვაის პარკში გადიტანონ.

○ მთავრობის რწმუნებულის ვ. ი. არდიშვილის თავმჯდომარეობით კვირას, 6 ოქტომბერს, სასურსათო საბჭოს კრება შესდგა მის დროებითი დებულების პროექტის განსახილველად და პრეზიდიუმის ამოსარჩევათ. ახლათ შედგენილ დებულების პროექტს ცოტა განსხვავება აქვს იმ პროექტისაგან, რომელიც მოწონებული იყო საქართველოს ქალაქების კავშირის წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე და წარდგენილ იყო მთავრობაში. გარდა იმისა, რომ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე არჩევნით კი არ იქნება დამტკიცებული, არამედ იგი იქნება მთავრობის მიერ დანიშნული, როგორც მთავარი რწმუნებული სასურსათო საქმეების თაობაზე მინისტრის უფლებით, საბჭომ ეს დროებითი დებულების პროექტი მცირე შენიშვნებით დაამტკიცა მთავრობის წინაშე წარსადგენათ. ამის შემდეგ საბჭომ განიხილა ამ ორგანიზაციის შტატები. საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც მთავრობა დანიშნავს, ჯამაგირი ენიშნება 2000 მან. თვეში, მის ამხანაგს—1500 მან., კანცელარიაში და სხვა და სხვა განყოფილებაში მსახურთ ენიშნებათ იმდენი ჯამაგირი, რამდენსაც იღებენ მსახურნი, სსვა და სხვა სამინისტროში. თავმჯდომარეს ამხანაგებათ ამოირჩიეს კ. მ. ამირეჯიბი ა. მ, ჯაფარიძე და ე. ო. დიადკინი. გადაწყვიტეს სასურსათო საბჭოს კრება თვეში ორჯერ შესდგეს 1 და 16 რიცხვში.

## თ ე ა ტ რ ი.

○ დღეს, საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლაქია“ და „დავა“-ს მეოთხე მოქმედება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

## ადმინისტრაცია.

○ მილიციის უფროსის დადგენილებით მეტეხის ციხეში მოათავსეს: შალვა კინწურაშვილი, რომელსაც ბრალდება ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის ტალონების 14,500 მანეთის მითვისება. მ. გ. არუთუნიანცი, ქუჩაზე სროლისთვის ერთი თვით. ზ. გრ. რობაქიძე, როგორც მავნე პირი რესპუბლიკის წესწყობილებისთვის. მამედ ალი რუსტამ ოღლი მაგარ სასმელების გაყიდვისთვის სამი თვით.

## რკინის გზაზე.

○ გზათა სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის უფროსის ინჟ. კანდელაკისაგან მოვიდა გზის უფროსთა სახელზე შემდგარი განკარგულება, რომლის ძალითაც რკინის გზის მსახურთა პირველ სადელეგატო ყრილობის დადგენილებით უნდა განთავისუფლდეს ორი პირი, თავმჯდომარე და მდივანი კომიტეტისა. დანარჩენ კომიტეტის წევრთ სთხოვს გზის უფროსი შეუდგნენ მუშაობას და 3 დღის განმავლობაში უფროსთ მაცნობონ სია იმ პირთა, რომელნიც ამ განკარგულებას არ აასრულებენ.

○ Sასურსათო სამინისტროს განკარგულებით 19 ოქტომბრიდან უფროსს წითელ რაზმელებს, რომელნიც მატარებლებზე მსახურებენ, მიეცემათ კვიტანციის ბარათები, რომ რეკვიზიციით ჩამორთმეულ საგნების სია წარუდგინონ სამინისტროს.

○ სადგურ მუხიანის უფროსი ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ 5 ოქტომბერს როცა საქონლის მატარებელი სადგურიდან გავიდა ცეცხლის ალი გამოჩნდა ერთი ვაგონიდან, რომელიც შეშით იყო დატვირთული. მიღებულ სასწრაფო ზომებით ცეცხლი მალე ჩაქრა. დაიწვა ვაგონის სახურავი და გვერდები.

## ქართული ლატარია.

○ ფოსტა ტელეგრაფის კომისარმა მოსთხოვა ლატარიის გამგე კომიტეტს 1000 ბილეთი გასავრცელებლად.

○ მილიციის უფროსმა გასავრცელებლათ დაიკვეთა 1000 ბილეთი.

○ გუბერნიის კომისარმა შ. მაღლაკელიძემ გასავრცელებლათ დაიკვეთა 1000 ბილეთი.

○ ვოლგა-კამის ბანკის გამგე დირექტორმა მაზმანოვმა იკისრა 500 ბილეთის გავრცელება.

○ გრ. დიასამიძემ გასავრცელებლათ 500 ბილეთი დაიკვეთა.

○ ლატარიის გამგეობა გვთხოვს[illegible]ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ იმ განცხბდებას, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „საქართველო“-ს № 188-ში კვიტანციის დავთრების დაკარგვის შესახებ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ქართულ ლატარიასთან, გამგეობას არც ერთი ბილეთი არ დაჰკარგვია.

## ტყე და ავეჯი.

○ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განზრახვა აქვს ბორჯომის ტყე გამოიყენოს შინაური ავეჯეულობის დასამზადებლად. ამის გამო სამინისტრო ავეჯეულობის ქარხანა სტორიკოვსკის ანდობს ამ საქმეს ავეჯის გამოსაყენებლათ.

## სადგ.-მამ.-კომიტეტში.

○ მოხსენება აგრარულ რეფორმების გასატარებლათ საგანგებო კონტროლიორის დანიშვნის შესახებ, ცენტრალურ სამიწადმოქმედო გამგეობამ გადასცა სამინისტროს.

## მუშათა შორის.

○ ბორჯომის მუშათა საქმე დამთავრდა. 7 ოქტომბერს მოაწერეს ხელი ხელშეკრულებაზე. ერთი ამ კითხვათაგანი სახელდობრ, მუშების დაკმაყოფილება სექტემბრის ჯამაგირით გადაეცა განსახილველათ ცენტრალურ მომრიგებელ კომერას.

○ ცენტრალურ სამიწადმოქმედო გამგეობას ქართლის ეროვნულ ქონებათა გამგე სთხოვს მუშათა მატერიალური მდგომარეობა გააუმჯობესოს.

### შეშა და ტრამვაი.

○ ქალაქის გამგეობის წევრი, ი. ი. ბენელიძე ტფილისს დაბრუნდა კახეთიდან, სადაც იგი წასული იყო შეშის დასამზადებლად და თავის დროზე გამოტანის მოსაწყობათ, ტრამვაის ელექტრო-სადგურისათვის და აგრეთვე ქუჩების გასანათებათ და რომ ყოველ 3—4 დღის გამოშვებით 15 ვაგონი შეშა უნდა ჩამოიტანოს ტფილისში.

○ ტფილისის ტრამვაის მიმოსვლა, რომელიც შესწყდა უშეშობისა გამო შაბათიდგან უკვე დაიწყო. მან კახეთიდგან 15 ვაგონი შეშა მიდო.

### სასამართლოს გარშემო.

○ 7 ოქტომბერს ტფ. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ყოფილ კონტროლ. პალატის მოხელის თეოფილე იოსების ძე კობეშავიძისა, რომელსაც ბრალდებოდა 6 მარტს 1916 წელს ტფ. ქალაქის ბაღთან, მინკვიცევის ქუჩის კუთხეში, გათენებისას გიორგი ზარიძის დაჭრა, იმ დროს როდესაც მას კობეშავიძეს და მის ამხანაგს თავს დაესხენ 6 უცხო პირნი. ბრალმდებელი იყო გ. ნატროშვილი, თავჯდომარე ე. ვ. ჩემისოვი, წევრები მ. დ. ორჯონიკიძე და გალუსტიანცი. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ქ. დ. ზელენსკი. თათბირის შემდეგ სასამართლომ კობიშავიძე გაამართლა.

### საზოგადოებანი და კრებები.

○ დღეს, 9 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქუჩა № 6) დანიშნულია საერთო კრება წევრებისა ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საზოგადოებისა. მოხდება არჩევნები მუდმივი გამგეობისა და აგრეთვე გადაწყდება მიმდინარე საჭირო საკითხები. დასწრება წევრებისა კრებაზე სავალდებულოა.

○ კვირას, 6 ოქტომბერს, გ. თ. ჟორდანიას თავჯდომარეობით შესდგა დამფუძნებელი კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოებისა. დაამტკიცეს წესდება და მოხდა არჩევნები: თავმჯდომარეთ საზოგადოებისა არჩეულ იქმნა დ. ვ. კვირკელია, მის ამხანაგად გ. ზ. ჩაჩიბაია, გამგეობის წევრებათ გ. თ. ჟორდანია (იგივე მდივანი) ა. გ. ბებურიშვილი, ს. ქ. მხეიძე ა. მ. ახნაზაროვი (იგივე ხაზინდარი) და პროფ. ყიფშიძე.

### სხვა და სხვა ამბები.

○ ქალაქის გამგეობის მდივანმა ვ. თ. ხახანოვმა ამ თანამდებობას თავი დაანება მხოლოდ საბჭოს მდივნად კი დარჩა.

○ ივ. პ. როსტომაშვილი განათლების მინისტრის განკარგულებით დაინიშნა თელავის წმ. ნინოს გიმნაზიის გამგედ.

## განცხადებები


# წესდება
## კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო სააქციო საზოგადოებისა.

საზოგადოების ძირითადი თანხა, აქციები და მათი პატრონების უფლებანი და მოვალეობანი.

§ 8.

საზოგადოების ძირითადი თანხა უდრის ერთ მილიონ მანეთს, რომელიც გაყოფილია 10.000 აქციად, თითო 100 მანეთის ღირებულებისა. ყველა ზემოაღნიშნული აქციები განაწილდება დამფუძნებელთა და მათ მიერ მოწვეულ მონაწილეთა შორის ერთმანეთთან შეთანხმებით. მე-2 §-ში ნაჩვენებ ქონებაში ამხანაგობას შეუძლიან ფულის ნაცვლად მიიღოს საზოგადოების აქციები ზედაღნიშნული ფასით, ხოლო რიცხვი აქციებისა გამოირკვევა შეთანხმებით ამხანაგობისა და აქციონერთა პირველ კრების შორის.

§ 9.

ამ წესდების გამოცხადებიდან არა უგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში ყოველ აქციაზე უნდა გადახდილ იქმნეს 25 მანეთი. შეტანილი ფული ჩაიწერება არსებულ დავთრებში და ფულის გადამხდელს მიეცემა დამფუძნებელთა მიერ ხელმოწერილი კვიტანციები, ხოლო შემდეგში მიეცემა სახელდებული დროებითი მოწმობანი. მე-8 §-ში აღნაშნულ აქციებზე, რომელნიც მიცემულ იქნება მიღებულ ქონებაში, პატრონებს ფული არ გადახდებათ. აქციებში მიღებული ფული დამფუძნებლებმა უნდა შეიტანონ ტფილისის სავაჭრო ბანკში, სადაც ინახება იმ დრომდე, სანამ მას მოითხოვს საზოგადოების გამგეობა. შემდეგ, როცა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს წარედგინება მოწმობა შესახებ იმისა, თომ ტფილისის სავაჭრო ბანკში შეტანილია პირველი გადასახადი აქციებზე, საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას. თუ ეს წესი არ შესრულდა, საზოგადოება ჩაითვლება დაშლილად და აქციებზე გადახდილი ფული პატრონებს სავსებით უბრუნდებათ. შემდეგი გადასახადის რაოდენობას და დროს, საჭიროების მიხედვით, ნიშნავს აქციონერთა საზოგადო კრება. დრო და რაოდენობა გადასახადისა უნდა გამოცხადდეს სამი თვით მაინც ადრე ამ ვადის დადგომამდე.

ფულის გადახდა აღინიშნება დროებითი მოწმობებზე, რომელნიც ფულის სავსებით გადახდის შემდეგ უნდა გაიცვალოს აქციებზე.

შენიშვნა: აქციებზე გადახდილი ფულის დავთრები უნდა წარმოებულ იქმნეს თანახმად წესებისა, რომელნიც აღნიშნულ არიან 1900 წ. გამოცემულ კანონთა კრებ. მუხ. 4—10, § 2166, ტ. X, ნაწ. I-ში. ეს წიგნები უნდა წარედგინოს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელიც ზონარს გაუყრის, თაბახებს დანუმრავს და ბეჭედს დააკრავს.

§ 10.

თუ დროებითი მოწმობის პატრონმა ხვედრი ფული დროზე არ გადაიხადა, მას ეძლევა ერთი თვე შეღავათი და თვეში გადახდება საზოგადოების სასარგებლოდ ერთი პროცენტი გადაუხდელ თანხაზედ. თუ შემდეგშიაც არ შემოიტანა გადასახადი, მისი მოწმობანი გაბათილდება, რაიც უნდა საჯაროთ გამოცხადდეს, და მის ნაცვლად იმავე ნომრით გაიყიდება ახალი მოწმობანი. გამგეობის მიერ. ამ მოწმობებში შემოსული ფული ეძლევა გაბათილებულ მოწმობების პატრონს, ხოლო გამოაკლდება საზოგადოების სასარგებლოდ დარჩენილი გადასახადი, პროცენტები და ხარჯი გაყიდვისა და განცხადებისა.

§ 11.

არა ნაკლებ $^1/_5$ აქციებისა ან დროებითი მოწმობებისა, რომელნიც უნდა გადაეცეს დამფუძნებელთ, უნდა შეტანილ იქმნეს საზოგადოების გამგეობის მიერ შესანახად ტფილისის სავაჭრო ბანკში. ეს აქციები ან დროებითი მოწმობანი არ შეიძლება გადაეცეს სხვას ვისმეს იმ დრომდის, სანამ არ დამტკიცდება არსებული წესით ანგარიში პირველი საოპერაციო პერიოდი არა ნაკლებ 12 თვის ხანგრძლივობისა (§ 45).

§ 12.

საზოგადოების დაარსებას ან არდაარსებას გამგეობა—პირველ შემთხვევაში,—ან დამფუძნებელნი—მეორე შემთხვევაში, — აუწყებენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს და აცხადებენ საყოველთაო ცნობად.

§ 13.

პირველად გამოცემულ აქციების განაღდების განაღდების შემდე საზოგადოებას შეუძლიან გაადიდოს თვისი ძირითადი თანხა დამატებითი აქციების გამოშვებით, რომელთა ფასი არ უნდა აღემატებოდეს პირველ აქციების ფასს. დამატებითი აქციების გამოშვება შეიძლება აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით და ყოველთვის მთავრობის ნებართვით.

შენიშვნა: ახლად გამოცემულ აქციების შეძენის დროს მისი ღირებულების გარდა მყიდველმა უნდა გადაიხადოს დამატებით პრემია; იგი უნდა უდრიდეს, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ ბალანსის სათადარიგო თანხის იმ ნაწილს, რომელიც შეხვდება ყოველ წინანდელ გამოცემულ აქციაზე. ამ გვარად შეგროვილი პრემიები გადაიდება იმავე სათადარიგო თავახის გასადიდებლად.

§ 14.

ახალი აქციების შეძენის დროს უპირატესობა ეძლევათ წინად გამოცემულ აქციების პატრონებს თანახმად იმ აქციების რაოდენობისა, რომელიც მათ აღმოუჩნდებათ შეძენილი. თუ ახალი აქციები სავსებით არ შეიძინეს წინანდელ აქციების პატრონებმა, დარჩენილ აქციებზე გაიხსნება ხელის მოწერა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით და მის მიერ დამტკიცებულ პირობებით.

§ 15.

აქციების პატრონთა სურვილის მიხედვით აქციები შეიძლება იყოს უსახელო ან სახელდებული. სახელდებულ აქციებზე უნდა აღინიშნოს სახელი და გვარი ან ფირმა პარტრონისა. აქციები ამოიჭრება წიგნიდან, აღინიშნება ნუმრებით რიგ-რიგად, დაერტყმება საზოგადოების ბეჭედი და ხელი მოეწერება გამგეობის სამი წევრისა, ბუხჰალტერისა და კასირის მიერ.

§ 16.

ყოველ აქციას ზედ დაერთვის კუპონების ფურცელი 10 წლის განმავლობაში დივიდენდის მისაღებად. კუპონებზე აღინიშნება ნუმრები აქციებისა, რომელსაც ეკუთვნის ყოველი კუპონი, და წლები რიგ-რიგობით. 10 წელიწადი როცა გაივლის, პატრონებს ეძლევათ ახალი 10 წლის კუპონები ზემოაღნიშნულის წესით.

§ 17.

საზოგადოების აქციები და კუპონების ფურცლები უნდა დაიბეჭდოს სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში, ან მთავრობის ნებართვით, სხვა დაწესებულებაში.

§ 18.

დროებითი მოწმობებისა და სახელდებულ აქციების გადაცემა მეორე ხელში შეიძლება, ხოლო ამისთვის საჭიროა აქციებსა და მოწმობებზე სათანადო წარწერა და მათი წარდგენა სათანადო განცხადებასთან ერთად საზოგადოების გამგეობაში მისი დავთრებში აღსანიშნავად. თვითონ გამგეობა აქციებსა და მოწმობებზე წარწერას აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელნიც აღნიშნულ არიან 1900 წ. გამ. კან. კრ. X ტ. ნაწ. I მუხ. 2167-ში, და აგრეთვე სასამართლოს დადგენილებით. საზოგადოების გამგეობამ მოწმობათა და აქციების გადაცემა უნდა აღნიშნოს დავთრებში არა უგვიანეს სამის დღისა დღიდგან მათი წარმოდგენისა. უსახელო აქციების გადაცემას არავითარი ფორმალობა არ სჭირია და ასეთ აქციების პატრონათ ყოველთვის ის ითვლება, ვისაც ხელთ აქვს ეს აქციები.

§ 19.

თუ, თანახმად მე-10 §-სა, დროებითი მოწმობის ვადა გასულია და მასზე აღნიშნული არ არის გამგეობის მიერ ხვედრი ფულის გადახდა, მისი სხვის ხელში გადაცემა არ შეიძლება და ასეთი გადაცემა არ იქნება აღიარებული. ეს წესი უნდა აღნიშნულ იქმნეს დროებით მოწმობაზე.

§ 20.

აქციებისა და დროებითი მოწმობების ბირჟაზე გატანისა და მათს აღებ-მიცემობაში საზოგადოება ემორჩილება ამ ჟამად არსებულ და მომავალ საამისო კანონებს და წესებს.

---

ს. ბაკურციხეში თავს დამეცნენ ავაზაკები ტ ფულებთან და სხვა რამეებთან ერთად წამართვეს

# პასპორტი

სიღნაღის მაზრის უფროსის მიერ მოცემული 1908 წ. ჩემს სახელზე. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე.

№ 853. 3—1

---

ტფილისის ქალაქის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 27-ს. დილის 10 საათზე საზოგადოების ბინაზე, პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, წესდების მე-23 § ძალით მოხდება მე-73 ტირაჟი 5 % და 40 ტირაჟი $4^1/_2$ %. საზოგადოების ობლიგაციებისა.

618. 1.

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 12—13 აგვისტოს დადგენილებით, საოპერაციო ამხანაგობათა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება ხრეითის მომხმარებელი საზოგადოება „გამარჯვება,“ რომელიც დაარსებულია ქუთ. გუბ. შორაპნის მაზრის სოფ. ხაჩკითში.

(945. 1—1)

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 29 ივლისის დადგენილებით საკოოპერაციო ამხანაგობათა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოებისა „ეკონომია,“ რომელიც დაარსებულია ქ. ქუთაისში.

454. (1—1)

---

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა სასამართლოს 1918 წლის 4 ივლისის დადგენილებით ამ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელნიც მოგების მიღების აზრით არ არიან დაარსებულნი, მე-32-№-რით ჩარიცხულია „ტფილისის სატეხნიკო ძალათა კავშირი“.

(578. 4—1)

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. სექტ. 16-17 კოოპერატივთა ამხანაგობის რეესტრში შეტანლია წესდება ქუთაისის საოლქო მეურნეობის და მრეწველობის ცენტრალურ კოოპერატივთა ამხანაგობისა „ცისკარი,“ რომელიც დაარსებულია ქ. ქუთაისში.

496 (1—1)

---

1914 წ. ოქტომბრის 20-ის დადგენილებით ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ალექსანდრე იაგორისძე საჟაკოვისა.

(558 1—1)

---

1918 წ. სექტემბრის 16 ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი სპარსეთის ქვეშევრდომის ალექსანდრე სერგის ძე ვართანოვის.

(559 1—1)

---

1918 წ. სექტემბ. 16 ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ტფილისის მოქალაქისქვრივისა მარიამ სერგის ასულის ემელიანოვისა.

(599 1—1)

---

სიდონია მორბედაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგვია უვადო პასპორტი № 540.

(3—1)

---

1915 წ. მაისის 7 ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ევდოკია თეოფანეს ასულის ბუცკის.

(568 1—1)

---

ა. ლაზარევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უმაღ. დაწყ. სასწავლებლის მოწმობა № 213 და წლოვანობის მოწმობა № 541. ამ საბუთებს გაუქმებულათ თვლის.

620. 3—2.

---

გორის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს: სოფ. მეჯვრისხევის, გორის მაზრის მოქალაქე ასლან-გერი ბესლანის ძე საკაევმა განაცხადა ამ კომისარიატში, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული კავკავის საპოლიციო სამმართველოდან 1906 წ. თვე, რიცხვი, ნომერი არ ახსოვს. ეს საბუთი გაუქმებულად ითვლება. ის პირი კი, რომელიც მას იპოვის, ვალდებულია წარმოადგინოს ის გორის მაზრის კომისარიატში. 536 3—2

---

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ, 19 იქ შევიდა თხოვნა ნინო ვასილის ასულის აფანასიევისა, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, მთაწმინდის ქუჩაზე, № 12, ბარსეგოვის ბინა, მის ქმართან ვიქტორ ვასილისძე აფანასიევთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან გრადოტომსკის ხარებობის ეკლესიაში 1908 წ. მთხოვნელის განცხადებით ვიქტორ ვასილის ძე აფანასიევი არა სჩანს 1910 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ვიქტორ აფანასიევი, ვალდებულია განუცხადოს კავკასიის სინოდალურ კონტორას ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან.

510. 3—2.

---

გორის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს: სოფ. ზღუდერის, გორის მაზრის მცხოვრებმა ანდრია ბარაძიმის ძე ფილიშვილმა განაცხადა ამ კომისარიატში, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული გორის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლოსაგან 1911 წელს. თვე, რიცხვი და ნომერი მას არ ახსოვს. ეს ფურცელი საბუთი იყო იმისი, რომ მან შეიძინა უძრავი ქონება იმავე სოფ. მცხოვრებიდან სოფრომ ზაქარიას ძე ალიბეგოვისაგან. ამ ფურცელის მპოვნელს კომისარიატი სთხოვს წარმოადგინოს ის კომისარიატში ან და გაუქმებულად ჩასთვალოს.

477. 3—2.

---

მარტიროს სულეიმანის ძე არუტინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 167, მიღებული შუშის სამაზრო სამმართველოდან 1907 წ. მარტის 16-ს.

849. 3—2.

---

მიხეილ ადამის ძე ხმალაძე ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ახალციხის ხაზინის მოცემული ბარათი № 12158, თავის მეუღლის სახელობაზე.

835. 3—3.

---

## მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

# გ. გ. მებრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 30—2.

---

სამსონ დიმიტრის ძე ერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 12 აგვისტოს 1918 წ. პასპორტი მიცემული ჯავახონის (ბაქოს გუბერნია) მაზრის უფროსისგან.

852. 3—2.

---

იაკობ პავლოვის ასული ბარბარე მირიაკოვისა აცხადებს, რომ მან ამა წლის ენკენისთვის ბოლოში დაჰკარგა წლოვანობის მოწმობა, რომელიც მიღებული ჰქონდა მოსკოვის სასულიერო კონსისტორიიდან 1895 წ. ოქტომბრის 16. № 76083,

850. 3—2.

---

ალექსანდრე სულხანის ძე პიროგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა „კოლტის“ სისტემის რევოლვერი № 80207.

№ 848. 3—3.

---

მატილდა გოშლიბის ასული გეგელე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუსის მიერ 1906 წ. იანვრის 23. რეესტრი № 58, რომ მას აქვს ადგილი ქ. ტფილისში, მე-10 კომისარიატში, პიროგოვის ქუჩა, № 58.

841. 3—3.

---

სოფ. საგარეჯოში

## ხოლერის გაჩენის გამო

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც საგარეჯოში ისე მახლობელ სოფლებში აკრძალულია ნახმარ ტანისამოსის, ხალიჩების და სხვა ძველ ნივთების შემოტანა. ვისაც ამგვარი აღმოაჩნდება, ჩამოერთმევა და დაიწვება იქნება.

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი.

433 10—9

---

ველიამინოვის ქუჩა № 20, ბინა 1

# იყიდება

ხალიჩები—თავრიზის, ქაშანის, ქირმანის, სარუხის, სინასი, მუშკაბათის, გეორავანის, გერიზის, უეზდის. 9—12 საათამდე და 3—6 საათამდე.

6—804—5